სახალხო ფურცელი

№ 811 კვირა, 5 მარტი 1917 წ. 811

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კაპ., უკანასკნელზე—20 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—40 კ., უკან—20 კაპ., ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 6 მან., 20×2 ღირს 8 მან., 25×2 ღირს 10 მან. 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „ქართლში" პუშკინისა და ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახლი ძველი სასულიერო სემინარიისა და ეღირება ერთი მანეთით მეტი,

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო ფურცლის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Пурцели", поч. ящ. 190.

ტელეფონი 12—28

საპოლიტიკო და სალიტერატურო
გაზეთი
სახალხო ფურცელი
კვირეული სურათებიანი დამატებით
ღირს:

ერთი წლით 15 მანეთი, ნახევარი წლით 8 მან., სამი თვით 3 მ. 75 კ.

ხელის მოწერის ფასის გადახდა შეიძლება ნაწილნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 7 მანეთი, პირველ აპრილისთვის 4 მ. და პირველ აგვისტოსთვის 4 მ.

1 მარტიდან წლის დამლევამდე ღირს 13 მან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

მისამართის გამოცვლა ღირს 1 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება—სასახლის ქუჩა, № 6, შესასვლელი ეზოდან.

საფოსტო მისამართი: Тифлисъ, Ред. „Сахалхо Пурцели", почтов. ящикъ 190.

ღრმად დამწუხარებულნი: ნიკოლოზ დიმიტრის ძე მეუღლით ეკატერინე მაკარის ასული შვილებით ეუნია, ლილი და იზა არჯევანიძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელი დედის, დედამთილის და ბებიის

დარია სოლომონის ასულის

არჯევანიძისა.

გარდაიცვალა ს. ენისელში ხანმოკლე ავადმყოფობით 3 მარტს. 2582

ტფილისის ვაჭრების მამასახლისი

აცხადებს ბ. ბ. ვაჭართა ყურადსაღებად, რომ სამშაბათს, 7 მარტს, საღამოს 6 საათზე ტფილისის საარტისტო საზოგადოების დარბაზში გაიმართება მოლაპარაკება შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დაწესების შესახებ. თათბირს ჰმართავს ქ. ტფილისის ინსპექცია.

დამფუძნებელნი

კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკისა,

რომელსაც მინისტრის განკარგულებია თანახმად

ეწოდება:

„ამიერ-კავკასიის ბანკი",

ამით აუწყებენ აქციების პატრონთ, რომ ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდების §§ 63 და 64 ძალით,

პირველი საზოგადო კრება

ბანკის აქციონერებისა

დანიშნულია 5 მარტს, 1917 წ., ტფილისში, დილის 11 ს. ბანკის ბინაზე, ლორის-მელიქოვის ქ. № 5,

(ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ახალ შენობაში).

საგანი განხილვისა:

1. საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიში.
2. საბჭოს წევრთა რიცხვის მომატება.
3. საბჭოს წევრთა არჩევანი.
4. 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
5. ბანკის საჭიროებისათვის უძრავ მამულების შეძენის შესახებ მოხსენება.
6. გამგეობის სამის წევრის არჩევა.
7. სარევიზიო კომისიის 5 წევრის არჩევა.

ბ-ნთ აქციონერთა საყურადღებოდ ვაცხადებთ:

ყველას, ვისაც კი შეუძენია ბანკის აქცია, ნება აქვს დაესწროს საზოგადო კრებას, ხოლო ხმის უფლება მარტო იმ აქციონერსა აქვს, რომელსაც ათ აქციაზე ნაკლები არ ეკუთვნის. ყოველს ათს აქციაზე, პატრონს ერთის ხმის უფლება აქვს, მაგრამ ამასთანავე რაც უნდა ბევრი ჰქონდეს აქცია, მაინც აქციონერთა საზოგადო კრებაზე იმაზედ მეტს ხმას ვერ მიიკუთვნებს, რაც გადააჭარბებდა კრებაზე დამსწრე წევრთა ხმების ერთს მეათედს (§ 56).

მთავრობის, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი, საზოგადოებანი და ამხანაგობანი ხმის უფლებას თავიანთ კანონიერ წარმომადგენელთ აძლევენ (§ 57).

იმ აქციონერებს, რომლებსაც ათს აქციაზე ნაკლები აქვთ, შეუძლიანთ შეაერთონ თავიანთ აქციები, ზოგადის ვექილობით, ძალით, რათა მიიღონ უფლება ერთის ანუ მეტის ხმისა—იმ საზღვრამდე, რომელიც მოხსენებულია § 56-ში (§ 57).

რომელ აქციონერსაც ხმა აქვს, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლიან კრებას დაესწროს, ნება აქვს თვისი უფლება ისეთს სხვა აქციონერს გადასცეს, რომელსაც აქვს ხმა, მაგრამ ერთსა და იმავე აქციონერს საზოგადოდ არ შეუძლიან ორ ვექილობაზე მეტი ვექილობა იქონიოს.

შენიშვნა: ვექილობა ხმის გადაცემისათვის უნდა შესდგეს წერილის სახით და გადაეცეს ამიერ-კავკასიის ბანკის დამფუძნებელთ სამის დღით ადრე საზოგადო კრებამდე. ხელის მოწერა ვექილობაზე უნდა შემოწმებულ იქმნას მთავრობის ან საზოგადო დაწესებულებათა ან პირთა მიერ).

საზოგადო კრებაზე შესასვლელი ბილეთების მიღება შეიძლება ბანკის კანცელარიაში 4 მარტს, დილის 10 საათიდან დაწყებული. 1048

განთავისუფლებული რუსეთი

ტფილისი, 5 მარტი, 1917 წ.

ჩვენ და რუსეთი.

არა ჩვეულებრივის სისწრაფით, არაჩვეულებრივის მოულოდნელობით რუსეთში უდიდესი საქმე გაკეთდა—ძველი რუსეთი დაეცა, ახალმა თავისი დროშა აღმართა ძველის ნანგრევებზე. სულ გუშინ იყო, გულგატეხილნი რომ შევყურებდით რუსეთის მდგომარეობას და ძველი მთავრობის მტარვალურ მოქმედებას. თითქმის არაფერი ნიშანი ყოფილა ამნაირი უცაბედი ცვლილებისათვის და ამ მომენტს მოუმზადებელნი დავხვდით. რანაირი უნდა ყოფილიყო გაჭირვება, რანაირი აუტანელი უნდა ყოფილიყო მდგომარეობა, რომ მილიუკოვსა და როძიანკოს ასეთი რევოლუციონური ნაბიჯი გადაედგათ! მაგრამ საშინელი იყო რუსეთის ყოფა, საშინელი პერსპექტივა ეშლებოდა თვალწინ. პერსპექტივა დამარცხებისა, თავსლაფ დასხმისა, შერცხვენისა, დამცირების და დადუპვისა. სამშობლოს ასეთმა განსაცდელმა გააერთიანა რუსეთის მოწინავე ელემენტები, ძველი მთავრობა გარიყული დარჩა, მარტოდ-მარტო და ამიტომ შეიქმნა მისი ძირს ჩამოგდების საქმე ასე ადვილი.

მაგრამ საქმე ჯერ იწყება მხოლოდ, იგი არ გათავებულა. მართალი სთქვა მილიუკოვმა: საქმე ძალა-უფლების ხელში ჩიგდება არაა. უდიდესი საქმეა ამ უფლების დაცვა, შენარჩუნება და განხორციელება. და აი, ამ მხრით ყოველი შეგნებულ ადამიანის ვალია ხელი შეუწყოს ახალ მთავრობის დამკვიდრებას და ხალხმა კონტრ-რევოლუციის მოხდენის საშუალება უნდა წაართვას ძველი რეჟიმის მომხრეებს. ძველი მთავრობის მომხრენი მთლად არ გამქრალან, ისინი სახტად დარჩნენ ამ მოულოდნელ ცვლილების გამო და ძალას რომ მოიკრებენ—უეჭველია შეეცდებიან საქმის თავის სასარგებლოდ დაატრიალებს და ამისათვის მზად უნდა ვიყვნეთ...

მაგრამ ჩვენთვის, ქართველობისათვის, რა მნიშვნელობა აქვს მომხდარ ცვლილებას, რას უნდა მოველოდეთ ახალ წესწყობილებისაგან? უეჭველია იგი თავისთავად დიდი სიკეთეა. ჩვენს თვალწინ დაიბადა ახალი რუსეთი, სადაც მეტი საშუალება გვექნება ჩვენი სახე გამოვაჩინოთ, საკუთარი სურვილები განვაცხადოთ, საკუთარ ტკივილებს უფრო კარგად მოუაროთ. უეჭველია გადემოკრატებულ რუსეთში, სადაც ყველა თანასწორი უნდა იყვეს უფლებრივად, ჩვენი მდგომარეობა შემსუბუქდება. თავისუფლება სიტყვისა, კრებებისა, ორგანიზაციებისა—რასაკვირველია ბევრი რამაა, მაგრამ იგი ჩვენთვის არა კმარა.

თუ კი რუსეთისათვის საჭიროა თავისუფალი და საჯარო-სასამართლო, ჩვენთვის საჭიროა, რომ იგი ქართულ ენაზე იყვეს. თუ რუსის ხალხისთვის თავისუფალი სკოლაა საჭირო—ჩვენთვის ზედმეტად საჭიროა, რომ იგი ქართული იყოს დ სხ. ერთის სიტყვით, გარდა საერთო პირობების გაუმჯობესებისა, ყოველ ერს და ქართველობასაც ესაჭიროება დაკმაყოფილება თავის განსაკუთრებულ მოთხოვნილებებისა და საჭიროებისა. ყოველ ერს და ქართველობას უნდა მიენიჭოს დამოუკიდებლობა შინაურ საქმეებში და თავისუფალი გზა გაეხსნას განვითარებისათვის. ჩვენი დაკმაყოფილება, როგორც ერისა, შეიძლება მხოლოდ პოლიტიკურ თვითმართველობის მონიჭებით, ჩვენი ავტონომიის აღიარებით. უამისოდ ყოველგვარი ცვლილება ჩვენთვის ნახევარი იქნება და მნიშვნელობას მოკლებული.

ახალი მთავრობა ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს ეროვნულ საკითხის გადაწყვეტას. რუსეთი აქამდე თითქმის რუსის ხალხის სახელმწიფო იყო. ნამდვილად კი იგი უნდა იყვეს რუსეთში მოსახლე ერთა სახელმწიფო. სრული ეროვნული თავისუფლება უნდა მიენიჭოს ყველა ერს. მხოლოდ ამ გზით შეიქმნება ძლიერი რუსეთი, მხოლოდ ამნაირად უზრუნველჰყოფს ახალი წესწყობილება თავის სიმკვიდრეს, თავის სიმტკიცეს და მოიპოვებს სიმპატიას რუსეთის ყველა ერში. მაშ ასე: თავისუფლება რუსეთს, პოლიტიკური ავტონომია საქართველოს და ყველა რუსეთის ერსა. ჩვენმა ყოველგვარმა დაწესებულებებმა უნდა მოითხოვოს საქართველოს ავტონომია. ყველგან, კრებებსა თუ სხვაგან, სადაც კი ხმა მიგვიწვდება, აუცილებლად უნდა ვიყვიროთ ჩვენი ტკივილების შესახებ. უნდა ვიძახოთ, რომ უავტონომიოდ შეუძლებელია ჩვენი განვითარება, ჩვენი წინსვლა.

ერთა ინტერესების დაკმაყოფილებას მოითხოვს განახლებულ რუსეთის ინტერესი, მისი მომავალი. ამას მოითხოვს ჩაგრულ ერთა მდგომარეობა, სამართლიანობა და იმედია, ახალი რუსეთი სათანადო ანგარიშს გაუწევს ჩვენს გულისთქმას, ყურად იღებს და ძველი რუსეთის ნანგრევებზე მართლადაც ააგებს თავისუფალ რუსეთს თავისუფალ ერებისას!..

უმაღლესი მანიფესტი

მეფის ტახტიდან გადადგომა

პეტროგრადი. 3 მარტი. ოფიციალური. მანიფესტი. წყალობითა ღვთისითა, ჩვენ, ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვა და სხვ. უცხადებთ თავის ქვეშევრდომებს. გარეშე მტრებთან დიდი ბრძოლის დროს, რომელიც სცდილობდა რუსეთის დამონებას და რომელიც უკვე სამი წელიწადი გრძელდება, ღმერთმა ინება ახალი უბედურება დაეტეხნა თავს რუსეთისათვის. შინაური მღელვარება ომის წარმოება ზედაც მოქმედებს. რუსეთის კეთილდღეობა, გმირ ჯარის სახელი, ხალხის კეთილდღეობა, მთლად მომავალი ჩვენი ძვირფასი სამშობლოსი მოითხოვს ომის ბოლომდე წარმოებას. სასტიკი მტერი უკანასკნელ ძალას იკრებს და უკვე მოახლოებულია საათი, როდესაც გმირი ჯარი ჩვენ მოკავშირეებთან ერთად საბოლოოდ დაამარცხებს მტერს. ამ განწირულების ჟამს სინიდისის მოვალეობად ჩავთვალეთ შეგვემსუბუქებინა ხალხის შეკავშირება და სახელმწიფო სათათბიროსთან შეთანხმებით კეთილ ვინებეთ ხელი აგვეღო რუსეთის სამეფო ტახტზე და უმაღლეს უფლებაზე. რადგან არ მინდა ჩემს საყვარელს შვილს დავშორდე, მე მემკვიდრობას გადავცემ ჩემს ძმას დიდ მთავარს მიხეილ ალექსანდრეს ძეს. ვაკურთხებ და ვლოცავ რუსეთის ტახტზე ასასვლელად. უანდერძებ ჩემს ძმას ჰმართოს სახელმწიფო საქმები ხალხის წარმომადგენლებთან და საკანონმდებლო დაწესებულებებთან სრული თანხმობით იმ საფუძვლების მიხედვით, რომელსაც ისინი აღიარებენ და საამისო შეურყეველი ფიცის მიიღონ. სამშობლოს ღრმად სიყვარულის სახელით მოუწოდებთ სამშობლოს ერთგულ შვილებს შეასრულონ თავიანთი წმინდა მოვალეობა და ამ საერთო მღელვარების დროს ხელი შეუწყონ მეფეს ხალხის წარმომადგენლებთან ერთად მიიყვანოს რუსეთი გამარჯვების, კეთილდღეობის და სახელოვნობის განმტკიცებამდე. დაე უფალმა ღმერთმა უშველოს რუსეთსა.

ნამდვილზე საკუთარი ხელით უწერია ნიკოლოოზ.

1917 წლის 2 მარტი. ქ. ფსკოვი.

ვადასტურებ სასახლის მინისტრი გენერალ-ადიუტანტი გრაფი ფრედერიქსი.

—

პეტროგრადი. 3 მარტი. დიდი მთავრის მიხეილ ალექსანდრის ძის უარის განცხადება.

მეტად მძიმე ტვირთი დამაკისრა ჩემმა ძმამ, რომელმაც გადმომცა რუსეთის საიმპერატორო ტახტი უმაგალითო ომისა და სახალხო არეულობის დროს. განმსჭვალული ხალხთან ერთად იმ აზრით, რომ ყველაზე მაღლა დგას სამშობლოს კეთილდღეობა, მტკიცედ გადავსწყვიტე მივიღო ხელმწიფობა მხოლოდ, თუ ასეთი იქნება ნება ჩვენის დიადი ერისა, რომელმაც დამფუძნებელ კრებაზე თავის წარმომადგენლების პირით უნდა დააწესოს სახელმწიფოებრივი სახე და რუსეთის იმპერიის ძირითადი კანონები. ამიტომ ვთხოვ რუსეთის სახელმწიფოს ყველა მოქალაქეთ დაემორჩილონ დროებითს მთავრობას, რომელნიც არჩეულია სახელმწიფოს სათათბიროს მიერ და აღჭურვილია სრული ხემწიფობით, ვიდრე სულ მოკლე დროში არ იქნება მოწვეული საყოველთაო, პირდაპირის თანასწორის და ფარულის კენჭისყრით დამფუძნებელი კრება ხალხის სურვილის გამოსათქმელად.

მიხეილი.

—

გზათა ახალ მინისტრის ბუბლიკოვისაგან ამიერ-კავკასიის რკინის გზას მოუვიდა განკარგულება-მოწოდება —ახალ მთავრობას დაემორჩილეთ, სამშობლო დაიცავით და წესიერება არ დაარღვიოთ.

მოწოდება ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებისადმი. მოქალაქენო! ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენო, დღეს როცა ნახევრად ბატონ-ყმური რუსეთი თავისუფალ ცხოვრებას იწყებს, ჩვენ მოგმართავთ თხოვნით: დარჩით თავის ადგილას, იმუშავეთ უფრო მხნედ ვიდრე წინად. ყოველი ცნობა ძვირფასია როგორც სხვა ქალაქის ამხანაგებისათვის, ისე სახალხო მთავრობისათვის, რომელიც სახ. სათათბი-

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის [illegible] № 171.

ექიმმა
ფავლენიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე მუხრანის და ბაგრატიონის ქუჩისა № 23/31. 151

ექიმი
თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება საღამოს, 5—7 საათ. მისამართი კიროჩნი ქ. 18. ტელეფ. 11-82 216

ექიმი
მ. დ. წინამძღვარიშვილი
ყოფილი ორდინატორი თერაპევტიული კლინიკებისა, ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტისა. შინაგანი სნეულებანი. გულისა, ფილტვისა და სისხლის ხნეულ. [illegible]. იღებს საღ. 5—7 ს.-დე, ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროსპ., № 36, [illegible] 1059

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსის. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს იღებს ყ.-დღე საღ. 5—6 ს. კვირა დღის გარდა. 1058

ქუთაისში
ექიმი
მ. ი. ჩხენკელი
იღებს ბავშ[illegible] და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 1 ს., საღამოს 5—8 ს. ტფილისის ქუჩა, გოკიელოვის სახლი. 1051

ექიმი
ა. გ. ნარიმანოვი
ვენერიულ, კანის, ათაშანგის და მისი შედეგებისა. წამლობა „606" და „914" პრეპარატებით. ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე საღ. $5^1/_2$ ს.-დან 8 ს.-მდე. მიხეილ. ქ. № 38. ტელ. 16—17. 457

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა სიკეთისმიერი საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 5—77. 1059

ექიმი ქალი
ს. ზ. მირზოევი
[illegible]
იღებს [illegible] ავადმყოფთ [illegible] $1^1/_2$—$3^1/_2$ საათამდე, კვირა დღის გარდა.
[illegible] № 1.
[illegible] № 14—87 9140

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო & საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7.

საექიმო კაბინეტი ექიმ
კ. ს. ფონ-ირტელის
სპეციალისტი ქირურ., საშარდე-სასქეს., სიფილისის, ვენერიული და კანის (გასივება, ბუასილი, უკაცობა, შედეგი ონანიზ. და სიფილ., თირკმელების ავადმყ.), წამლობა სიფილისისა ერლიხის პრეპარ. „914" და „606" და ელექტრონით. [illegible] სქესის ავადმყოფებს იღებს 9—12 ს. და საღ. 4—8 ს. მიხეილის ქ. 128 შესასვ. [illegible] ქ. 1, [illegible] 1352

ექიმი
კ. ი. გვარჯალაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ტერენტევის ქუჩა № 4. სასტუმრო [illegible] გვერდით ტელეფ. 15—00. 1008

ექიმი
ნ. ნ. ჯავახიშვილი
ორდინატორად ნამყოფი კიევის ქირურგების კლინიკაში. იღებს ქირურგებით ავადმყოფებს ახალ ბინაზე, საღამოს 6—7 საათამდე, კვირა დღის გარდა. ვერის მოედანი, ექიმი [illegible] სახლი. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. ტელეფონი 5—54. 1064

საჭიროა

მხერხავები, ურმის ხალტების და ურმის თვლების ხელოსნები, დურგლები, მჭედლები, დაზგებთან მომუშავენი, მალაყნური ფურგონებისა და ოსური ცხენის ურმების მკეთებელნი დღიურად და ნარდით. ხელოსანი მუშები და მძღოლები განთავისუფლებულ იქნებიან სამხედრო ბეგრისაგან, როგორც სახელმწიფო დაცვისათვის მომუშავენი.

უპირატესობა მიეცემა, ვისაც საკუთარი სამუშაო იარაღი ექნება.

მოლაპარაკება შეიძლება დილის 9—12 საათამდე, ტფილისის სატრანსპორტო ორგანიზაციის კანტორაში, ლორის-მელიქოვის ქ. № 20. 258

როში ყოველთვის იცავდა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ინტერესებს. სახ. სათათბიროს დროებით მთავრობის კომისარი—**ბარიშნიკოვი.**

პეტროგრადი. 2 მარტი. სასწრაფო 2 მარტს იუსტიციის ახალმა მინისტერმა ა. თ. კერენსკიმ ეკატერინეს დარბაზში წარმოსთქვა სიტყვა, მოქალაქეთა და ჯარისკაცებისადმი მიმართული. როგორც კი ტრიბუნაზე გამოჩნდა ახალი მინისტრი, აუარებელი ხალხის ტაშის გრიალი გაისმა. „ამხანაგო ჯარისკაცნო და მოქალაქენო, დაიწყო იუსტიციის მინისტრმა. მე, სახელმწიფო სათათბიროს წევრი, ალექსანდრე თევდორეს ძე კერენსკი (ტაშის გრიალი და „ურას“ ძახილია), ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ახალმა დროებითმა მთავრობამ უკვე ხელთ იგდო მართვა-გამგეობის სადავე და თავის მოვალეობას ასრულებს შეუდგა მუშათა დეპუტატების საბჭოსთან და ჯარისკაცთა დეპუტატების შეთანხმებით. სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტის მუშათა დეპუტატების და ჯარის წარმომადგენელმა მოიწონეს ეს შეთანხმება რამდენისამე ასი ხმის უმეტესობით 15 წინააღმდეგ (ტაშის გრიალი, „ბრავოს“ ძახილი). ახალი მთავრობის პირველი ნაბიჯი იქნება სრული ამინისტიის გამოცხადება. ჩვენი ამხანაგები, მე-2 და მე-4 სათათბიროს დეპუტატები, რომელნიც უკანონოდ გაჰგზავნეს ციმბირში, განთავისუფლებულ და განსაკუთრებულის ზეიმით მოყვანილ იქნებიან აქ. ამხანაგებო! ჩემს ხელში არიან მინისტრთა საბჭოს ყველა ყოფილი თავჯდომარენი და ძველი რეჟიმის ყველა მინისტრები. ისინი პასუხისაგებენ, ამხანაგები, ყველა იმ ბოროტებისათვის, რაც ხალხის წინააღმდეგ ჩაუდენიათ (სასტიკად, სასტიკად!) ამხანაგებო! თავისუფალი რუსეთი აღარ მიმართავს იმ საზიზღარ საშუალებებს, რომლითაც იბრძოდა ძველი მთავრობა. სასამართლოს გადაუწყვეტლად სრულიად არავინ დაისჯება და სასამართლო საჯარო იქნება ამხანაგო ჯარისკაცნო და მოქალაქენო! ყველაფერს, რასაც კი ახალი მთავრობა ჩაიდენს, გამოვაცხადებთ. ჯარისკაცნო! მე დახმარებას გთხოვთ თქვენ. თავისუფალი რუსეთი დაიბადა, მისი უკან დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია. ყურს ნუ უგდებთ ძველი მთავრობის მომხრეთა სიტყვებს, დაემორჩილეთ თქვენს აფიცრებს. გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს (დამაყრუებული ტაშის კვრა და „ურას“ ძახილი) **დეპუტატს ჩხეიძეს** ხალხი დიდის აღტაცებით შეხვდა. მას აფიცრები და ჯარისკაცები ახვევიან. იგი სიტყვას წარმოსთქვამს იმის თაობაზე, თუ რა დიდია რევოლუციონერ ჯარის გმირობა, რომელსაც მიესალმება რევოლუციონერი. ჩხეიძე მიმართავს მუშებს და დამცველ პოლიციის ოინებს მოუთხრობს. მათ გამოუშვიათ საზიზღარი პროკლამაცია, სადაც ნათქვამია, ვითომ ჯარისკაცებს აფიცრები ამოეხოცნათ. მუშებს, ჯარისკაცებს და აფიცრებს ხელში ატაცებული მიჰყავთ ჩხეიძე.

პეტროგრადი. 1 მარტი. დღეს პეტროგრადის ჯარების უფროსის, სახელმწიფო სათათბიროს წევრის პოლკოვნიკ ენგელგარტის ბრძანებით, სახელმწიფო ბანკის დაცვა მიენდო სათათბიროს წევრებს ევსეევსა და რამოტს. განყოფილების კომენდატები 1 მარტს თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგნენ. დატუსაღებულ ფარულ და ისე პოლიციელებს და ჟანდარმებს კავალერგარდის პოლკის მანეჟის საკომენდატოში ჰგზავნიან.

ჭეშმარიტ რუსთა კავშირის თავმჯდომარის ექიმ დუბროვინის ბინა გაჩხრიკეს. არქივები და ყველა საქმე თავრიდის სასახლეში მიიტანეს.

1 მარტს დაატუსაღეს და საბარგო ავტომობილით თავრიდის სასახლეში მოიყვანეს მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე გორემიკინი. ესეც სხვებთან ერთად მინისტრთა პავილიონში მოათავსეს.

28 თებერვალი. ქალაქის საბჭოს სხდომა ჰქონდა. სტაროდუმცები ცოტანი დაესწრნენ. ქალაქის თავი ლელიანოვი ავადმყოფობის გამო ვერ მოვიდა. საბჭომ ერთხმად დაადგინა ახალ მთავრობასთან ერთად იმოქმედოს და მას სთხოვოს ხელმძღვანელობა. ქალაქის თავის ავადმყოფობის გამო გადაწყდა საბჭოს სათავეში ახალი პირი ჩააყენონ. ერთხმად აირჩიეს ყოფილი თანაშემწე ქალაქის თავისა იური გლებოვი, რომელიც დროებით პრინც ოლდენბურგელის განკარგულებაშია. აღიძრა კითხვა ძველი მთავრობისაგან დაყენებულ განკოვისა და შლეიფერის გადაყენებაზე. ესენი ქალაქის სამმართველოში მუშაობდნენ.

დროებით აღმასრულებელ სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტის კომისარებმა მაკლაკოვმა ასკაკოვმა იუსტიციის სამინისტროში შემდეგი ბრძანება გამოაქვეყნეს: „ამით ევალებათ იუსტიციის სამინისტროს ყველა მოხელეებს დაუყოვნებლივ მიიღონ კომისარების განკარგულებები, და თუ ვინიცობაა ამ განკარგულებებს ვერ დაეთანხმებიან მაშინვე ეს აღმასრულებელ კომიტეტს შეატყობინონ. ხელს აწერენ მაკლაკოვი და ბაკაკოვი.

პეტროგრადი. 2 მარტი. სახლების ბევრი სხვენები და კუნჭულები პეტროგრადში ძველი რეჟიმის მომხრეებითაა დაკავებული. ესენი იმედოვნებენ, რომ მალე ისევ ძველი წესწყობილება დამყარდებაო და ჯარსა და ხალხს ტყვიებს ესვრიან. მეეზოვებსა და სახლის პატრონებს ევალებათ სასტიკად სდევნონ ასეთი პირები და ყველა სხვენები გულმოდგინეთ დაათვალიერონ. საეჭვო პირების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს აღმასრულ. კომიტეტის სამხედრო კომისიას. საეჭვო პირების დამფარველნი სამხედრო სასამართლოში იქნებიან მიცემულნი“.

ხელს აწერს დროებით აღმასრულ. კომიტეტის წევრი **კარაულოვი.**

აღმასრულებელ კომიტეტის წევრების დელეგატები დემიდოვი და სტეფანოვი ცარსკოე სელოში ავტომობილით ოფიცრების თანხლებით ჩამოვიდნენ. ჩამოხტნენ ქალაქის სამმართველოში, სადაც ხალხის წარმომადგენლები შეკრებილიყვნენ. დიდის ოვაციებით მიეგებნენ დელეგატებს. ამათ წარმომადგენლებს სიტყვით მიჰმართეს:

„ახლა ყველაზე სერიოზული წუთი დაგვიდგა. ძველი რეჟიმი მოდრეკილია, ყოველივე მართვა-გამგეობა ხალხის მიერ არჩეულ პირთა ხელშია. საჭიროა შევქმნათ ახალი წესები და მოვაწყოთ ცხოვრების ახალი პირობებიო. საჭიროა სრული ნდობა სახელმწიფო სათათბიროსადმიო“.

ამათი სიტყვა დიდის ოვაციებით და ტაშის კვრით დააჯილდოვეს. მეტი აღფრთოვანება ხალხისა დეპუტატების იმ ადგილმა გამოიწვია, სადაც ამბობენ, რომ ნორმალურ პირობების დამყარება საჭიროა გარეშე მტერთან საბრძოლველადაო.

1 მარტს იუსტიციის სამინისტროში ბჭობა მოხდა; თავმჯდომარეობდნენ მაკლაკოვი, აჯემოვი და ბასკაკოვი. მონაწილეობა მიიღეს დეპარტამენტის დირექტორებმაც. გადასწყდა სწრაფად შეიმუშაონ ამნისტიის კანონპროექტი პოლიტიკურ საქმეებისათვის. ამ სხდომაზე გამოირკვა, რომ პეტროგრადის სასამართლო დაწესებულებები ორი დღის შემდეგ ისევ აღადგენენ თავიანთ მოქმედებას, გამმიჯნველი სასამართლო გაუქმდება. დაწესებულებებს დავალათ მოსპონ კანცელარიული გაგრძელება და ტანჯვა საქმეებისა.

პეტროგრადი. 2 მარტი. ცირკულიარული მოწერილობა აღმასრულებ. კომიტეტისა და სასურსათო კომისიისა (გაგრძელება წინად იყო). სასურსათო კომისიის №№ 1573 და 1579-ის დეპეშეიბს ნაცვლად, რომლებიც ხელმოწერილია ყოფილ მინისტრების ბელიაევისა და რიტიხის მიერ, გავალებთ თქვენ, ჩვეულებრივი ყიდვა და მიღება პურისა ისევ აწარმოოთ. მოახდინეთ რეკვიზიცია მიწის მსხვილ მფლობელების პურისა, რომელთაც ორმოც და ათ დესეტინაზე ნაკლები არა აქვთ მოხნული, წოდების განურჩევლად. რეკვიზიცია ფასის დაუწევლად უნდა მოხდეს. საგუბერნიო საერობო სამმართველოებს ევალებათ მოაწყონ კომიტეტები. სადაც ერობა არ არსებობს იქ ქალაქის სამმართველოებს ევალებათ შეჰქმნან სასურსათო კომიტეტები. ამაში მონაწილეობა უნდა მიიღონ; 1) საერობო და საქალაქო სამმართველოს წარმომადგენლობამ, 2) ადგილობრივ კავშირებსა და კოოპერატივებს და მომხმარებელ ამხანაგობებმა; თუ ესენი არ არსებობენ, მაშინ საგუბერნიო კოოპერატივების კრებება. 3) ადგილობრივ მუშათა დეპუტატების საბჭოეში, ან საავადმყოფო კასები და პროფესიონალურ მუშათა კავშირები. 4) გლეხთა კავშირების დამიხედვით, 5) საგუბერნიო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების წარმომადგენლები. გუბერნიის სასურსათო კომიტეტებს უფლება ეძლევათ, ადგილობრივ საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოწვევისა, რომელთაც დაეკისრებათ სასურსათო საქმის თავმჯდომარეთა და სამიწათმოქმედო სამინისტროს პურის საყიდლათ დაწესებულ რწმუნებულობა თავმჯდომარე ინიშნავს თანაშემწეებს სურსათის დასამზადებლად. გუბერნიის კომიტეტებს ევალებათ მოაწყონ სამაზრო, სასოფლო, სარაიონო და ქალაქის კომიტეტები სრულ დემოკრატიულ დებულებებზე. დროებითი მთავრობას აუცილებელ საჭიროებათ ჰხედავს სასურსათო კომიტეტების მოწყობას. ამათ შექმნამდე ძველი სასურსათო ორგანოები მოქმედებენ. ხელს აწერენ დროებით კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ როძიანკო, თავმჯდომარის ამხანაგი სასურსათო საქმეში და მუშათა დეპუტატების საბჭოს წევრი ვოლკოვი, სასურსათო საქმის კომისარი სახელმწ. სათათბიროს წევრი ვოსტროტინი, ჯარისთვის სურსათის მიმწოდებელის საგანგებო რწმუნებული გავრილოვი. აღმასრულებელი კომიტეტი სახელმ. სათათბიროსი ეს ცირკულიარული მოწერილობა თავში ნახვენებ მისამართებისამებრ დაიგზავნოს.

მოსკოვი, 28 თებერვ. (დაგვიანებული) გუშინ შუაღამისას საქალაქო საბჭოს კრება მოხდა, რომელსაც აგრეთვე დაესწრნენ საერობო, ქალაქთა კავშირის, სამხედრო სამრეწველო კომიტეტის და უკანასკნელთან არსებულ მუშათა ჯგუფის, უნივერსიტეტის, ქალთა უმაღლეს კურსების, მუშათა კასების და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ირჩეოდა თუ როგორ მოიქცნენ პეტროგრადში მომხდარ ამბების გამო. გაფიცულები აიძულებდნენ გაუფიცავებს ფაბრიკებში მუშაობა შეეწყვიტათ. შუადღისას ტრამვაის მიმოსვლა შესწყდა, ხალხი მოედნებზე იკრიბება. ქალაქის სამართველოს წინ სიტყვები წარმოითქვა. წითელი დროშები აფრია, ეხლა ხალხია წითელ მოედნისაკენ მიეშურება, სადაც მიტინგი უნდა მოხდეს.

დაპატიმრებული მინისტრები

პეტროგრადი. 1 მარტი. დააპატიმრეს შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი მაკლაკოვი. დაპატიმრებულ ბობოლათა ნაწილი თავრიდის სასახლიდან გადაიყვანეს პეტრე-პავლეს ციხეში.

დააპატიმრეს ნამინისტრალი სუხომლინოვი და დამცველ პოლიციის განყოფილების უფროსი.

ღალატი

მოსკოვი- პეტროგრადის გვარდიის ერთ-ერთმა პოლკმა ნამდვილი ცნობები მიიღო, რომ იმპერატრიცა ალექსანდრა ფეოდოროვნას გარშემო შეკრებილ ხალხს საიდუმლო მოლაპარაკება აქვს გერმანელების შტაბთან. რიგა უნდა დავცალოთო. ეს ამბავი აცნობეს გუჩკოვს. გუჩკოვმა დასამტკიცებელი საბუთები როძიანკოს გაუგზავნა სათათბიროში წასაკითხად, მაგრამ იმან ვერ გაბედა. როძიანკომ მეფეს შეატყობინა ეს ამბავი. იქიდან საპასუხოდ სათათბიროს დათხოვნის ბრძანება მოვიდა.

პეტროგრადი. 1 მარტი. აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებით პეტროგრადის გარნიზონის უფროსობა იკისრა გენერალურის შტაბის პოლკოვნიკმა, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ენგელგარდტმა.

თავრიდის სასახლის მინისტრთა პავილიონში მიიყვანეს 27 თებერვლიდან დაპატიმრებული შჩეგლოვიტოვი, შტიურმერი, კურლოვი, რეინი, შირინსკი-შიხმატოვი, კომისაროვი, პეტროგრადის გრადონაჩალნიკი ბალკი, გზათა მინისტრის თანაშემწე ბორისოვი, რკინის გზათა უფროსი ბოგაშევი, გენერალი ზაბელინი, ვიცე-ადმირალი კარცევი, ადმირალი გირსი, შინაგან საქმეთა მინისტრი პროტოპოპოვი, იუსტიციის მინისტრი დობროვოლსკი, ყოფილი მინისტრი მაკლაკოვი და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე დეიტრიხი. გავანთავისუფლეთ რეინი და სამხედრო-სამედიცინო აკადემიის უფროსი გენერალი მაკავეევი, ინიშნება აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით.

პეტროგრადი. 3 მარტი. მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტისაგან: ამხანაგნო მოქალაქენო, ზომიერ საზოგადოების ნაწილისაგან შემდგარი ახალი მთავრობა აცხადებს, რომ თავის რეფორმების ნაწილს განახორციელებს ძველ რეჟიმთან ბრძოლის პროცესში და ნაწილს კიდევ ბრძოლის გათავების შემდეგ. ზოგი ამ რეფორმებთაგანი შეეხება ფართო დემოკრატიულ ჯგუფებს. პოლიტიკური ამნისტია, განხორციელება მოქალაქოებრივ თავისუფლებისა და მოსპობა ეროვნულ შევიწროვებისა,—აი რას ისახავს მიზნად იგი. ყველა ამის განსახორციელებლად ფართო დემოკრატიული წრეები უნდა დაეხმარნენ. ამხანაგო მოქალაქენო! ახლოვდება ძველ მთავრობაზე რუსეთის ხალხის სრული გამარჯვების ჟამი. მაგრამ ამ გამარჯვებისთვის საჭიროა დიდი ძალ-ღონე, სიმხნევე და თავდაჭერილობა.

ანარქია და გათიშვა საქმეს დაღუპავს, უწესოება და ანარქია დაამარცხებს რევოლუციას და თავისუფლებას. ჯერ კიდევ სრულიად არ არის თავიდან აცილებული საფრთხე სამხედრო მოქმედებისა რევოლუციის წინააღმდეგ. ამისათვის საჭიროა შეთანხმებულ მოქმედების განმტკიცება აფიცერთა და ჯარის-კაცთა შორის. აფიცრებმა, რომელთათვის ძვირფასია სამშობლოს ინტერესები და მისი პროგრესიულ განვითარების საჭიროება, ყოველი ღონე უნდა იხმარონ ჯარის კაცებთან კეთილ-განწყობილება იქონიონ და მათი პირადი ღირსება აღიარონ. თავის მხრით ჯარის კაცებმა ზოგიერთ აფიცრის უგვანო საქციელი არ უნდა მიაწერონ მთელ აფიცრობას.

პეტროგრადის კომენდატის დატუსაღება. ახალმა მთავრობამ გენერალი ხაბალოვი გადააყენა და დააპატიმრა.

გამარჯვებული რევოლუცია. სახ. სათათბიროს აღმასრულებელმა კომიტეტმა ბრძანება გამოსცა: საბოლოოდ დაეცა ძველი მთავრობა, თავისუფლება უნდა განმტკიცდეს და საგარეო თუ საშინაო ცხოვრების გასაძლიერებლად უნდა დაიცვათ სიწყნარე.

ახალ მთავრობის დანიშნულ პეტროგრადის ჯარების ახალი უფროსი. პეტროგრადის ჯარების უფროსად დაინიშნა სახელოვანი გენერალი კორნილოვი, ვიდრე ის მომქმედ ჯარიდან მოვიდოდეს მის მაგიერობას გასწევს გენერალი ანოსოვი. 4 მარტს პეტროგრადის ჯარს მიესალმება და მიიღებს ახალი მთავრობა.

ახალი მთავრობის შედგენა და მილიუკოვის სიტყვა. სახალხო სამინისტრო შედგა 2 მარტს დღის სამ საათზე. ახალ მინისტრთა სიით ეკატერინეს სახლობის დარბაზში მილიუკოვი მიესალმა მეზღვაურთ, ჯარისკაცებს და მოქალაქეთ შემდეგი

ქართველობა და უცხოეთის გენია

(დასასრული *)

იმ ქვეყნებში, სადაც სუსხიანი ზამთარი არ იცის, გაზაფხულის მოსვლა არც ისე თვალსაჩინოა. ქრისტიანიზმს ჩვენ რელიგიურ ცხოვრებაში არასოდეს გაუშლია ფრთა ისე მძლავრად, რომ ჩვენი ეროვნული შემოქმედების კვირტები დაერთთვილოს, სამაგიეროდ ჩვენში რენესანსის შემონათებაც ისე მძაფრი არ ყოფილა.

ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნეში ფლორენციაში—მიწაში ნაპოვნი შიშველი, მარმარილოს ვენერა მიწაშივე ჩააფლობია იტალიელმა კათოლიკე სამღვდელოებმა — და ამით ელლინურ სულის ხელმეორედ აღდგომას ვითომდა ლოდი დაადვა.

ჩვენში ფატმან ხათუნისეური ჰეტერიზმი—12 საუკუნეში იდიდებოდა—ჩვენი ისტორია იხდო გერმანელთა ისტორიის მეთოდებით ვერ განიზომების. რადგან თვით ჩვენი ისტორიული ცხოვრება რადიკალურად განსხვავდებოდა როგორც მწუხრის, ისე ცისკრის ქვეყნების ისტორიისაგან.

ჩვენი სულის, ჩვენი ესპრის უცოდინარობა, დაუკვირვებლობა ამეტყველებთ ხშირად იმ ლიტერატურულ კრიტიკოსებს—და მიაზოეთ, რომელნიც ევროპიულ ან რუსულ კულტურულ ან ესთეთიურ კრიტერიუმით აღჭურვილნი მიადგებიან ჩვენებურ სოციალურსა ან ლიტერატურულ მოვლენებს...

როგორც ზევით ვამბობდით, ჩვენი წარსულ ცხოვრებაში ამა თუ იმ პერიოდის, ამ თუ იმ საუკუნეს მეორესთან არ ჰქონია მჭიდრო კავშირი, რადგან ჩვენი ისტორიული ყოფა ერთ სწორ კალაპოტის დენას არ გაჰყოლია, შინაგან დუღილში დაგროვებული ძალა-ენერგია როდი ეწეოდა წინ ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას, არამედ შემთხვევითი სრულიად მოულოდნელი გარეგანი ფაქტორები ამოძრავებდენ ქართული აზროვნებისა და გრძნობის მექანიზმს. ავიღოთ თუნდ ჩვენთან უმახლობელესი საუკუნე. საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის მეცხრამეტე საუკუნის ყოფას თვით ერის შინაგან ცხოვრების დუღილმა ჩაუყარა საძირკველი. ამ საუკუნის ცხოვრებას წინა საუკუნეში ჰქონდა ფესვი მოკიდებული—ეროვნული სხეულიც ამა თუ იმ ზემო ხსენებულ ერისა, მისი ფსიხიური „მე“, მისი კულტურული შინაარსი, სიმეტრიული ზრდისა და განვითარების ერთგვარი სუმმა სუმმარუმ გახლდათ. წინა საუკუნეში მცხოვრებ თაობათა ნაჭირნახულევის ტრაპეზზე იკვებებოდა ამ საუკუნის თაობა.

მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში ქართულ ცხოვრებას ისეთი მოულოდნელი დაბლა დაეცემა—რომ მთელი სამერმისოდ მოკრეფილი შემოქმედებითი ენერგია—დასწვა და გაანადგურა ამ გარედგან შემოჭრილმა ფაქტორმა. მეცხრამეტე საუკუნის ბჭეებში შემავალ თაობათა ხიდი ჩატეხილი დახვდათ.

ქართველობამ ხელმეორედ დაიწყო „ან ბანი“.

ამ საუკუნის პირველ ნახევრის მწერლები ენას ძლივს აბრუნებენ, გარნა ამაზე უფრო ძლიერი დეკადანსი წარმოსადგენია ერის ცხოვრების, როცა ეროვნული კულტურის ყოველ ძარღვში ჩერდება ცხოველ მყოფელ სისხლის ჩქეფა, მხოლოდ სიტყვა წყობილი მწერლობა და დარჩა ერთად ერთ ორგანოთ ისეთ ერს, რომელსაც წინა საუკუნეებში მდიდარი რელიგიურ კულტურასთან ერთად უკიდურესად განვითარებული ხუროთ-მოძღვრება და საეკლესიო მხატვრობა გააჩნდა. ერთის დაკვრით მიჩლუნგდა სხვა ორგანონი ჩვენი კულტურული მეტყველობისა. სიტყვა წყობილი ლიტერატურა ამერიკელ წითელ კანიანებსა და აფრიკელ ზულუს და ცუცუტუს ხალხებსაც აქვთ—მაგრამ ეს ხომ არ კმარა—კულტურულობის არგუმენტაციად!..

დასავლეთ ევროპიელ ერთათვის მეცხრამეტე საუკუნე უუბედნიერესი საუკუნე იყო.

მთელი წინა საუკუნეთა კულტურული ჭირნახულის კალო ამ საუკუნეში დაიდგა.

მას ნაციონალიზმის საუკუნე ეწოდება, რადგან ყოველი ერი ამ ხანად იწყებს უცხო გავლენისაგან თავის დასახწევად ზრუნვას.

ნაპოლეონ ბონაპარტე კიდევ ერთხელ შეეცადა იმ ფარგლების შემუსვრას, რომელსაც ეროვნული თავისებურობა და ნაციონალური მიჯნები ეწოდება. მაგრამ ბონაპარტიზმი ისეთსავე ფიასკოს წააწყდა, როგორსაც პაპიზმი.

ძნელია მთელი საუკუნის ეროვნულ ცხოვრების მსუბუქ და მოკლე შტრიხებით დახასიათება, ისიც საგაზეთოდ განზრახულ წერილში.

პარადოქსების სიყვარულად ნურვინ ჩამოგვართმევს თუ ვიტყვით, რომ ხსენებული საუკუნე არა მარტო ჩვენი პოლიტიკური დეგრადაციის ხანა იყო, არამედ ფსიხიური დეგენერაციის ეპოპეია.

ქართული ეროვნული შემოქმედების აუზი არასოდეს ისე მღვრიე არა ყოფილა, როგორც მაშინ.

უცხოეთის გენიას არასოდეს ისე მწვავეთ არ დაუთრთვილავს და დაუზრზავს ჩვენი ერის გულის ძარღვში მფეთქავი ეროვნული შემოქმედების ძალა, როგორც ამ საუკუნეში. ქართულ „ეროვნულ სხეულს არასოდეს ისე მახინჯი სახე არა ჰქონია როგორც ამ საუკუნეში.

მეცხრამეტე საუკუნის ქართველობის აზროვნებისა და გრძნობის მიუდგომელი ისტორია რომ დაიწეროს, და უფრო ნათელსა და მზიან ეპოქისას დაედაროს, უნდა გაწითლდეს მგრძნობიარე ქართველი: არც ერთ ახალ აზრს, არც ერთ მიმდინარეობას, რომელიც ამ საუკუნის ქართველობას აღელვებდა, ასულდგმულებდა, ჩვენ ეროვნულ ფუძიდან არ ამოჰყოლია ფესვი, არც ერთ ახალ იდეისათვის ქართველობის გენიას არ უწოვებია ძუძუ.

რამდენადაც დაბლა დგას საზოგადოება, იმდენად მარტივი და სადაა მისი ფსიხიური ლაბირინთი. აქ ღრმა ძიებით თავს არვინ იტკიებს, აქ გამომგონებლებსა და ნოვატორებს ადგილი არა აქვთ,—მიმბაძველები შეადგენენ ცხოვრების ღერძს.

აქ არ იტანჯებიან, წვალობენ, კი არ ლოცულობენ,—იდრიჭებიან. მსხვერპლს როდი სწირავენ—მსხვერპლად ეწირებიან უცხოთა კვარცხლბეკზე ამართულ კერპებს.

ან ვით გაგვიკვირდეს ამ საუკუნის ქართველობის სულიერი წყაროს ამღვრევა, თუ კი მისი სათავე ტალახიანი იყო.

ერი, რომელიც ორ კულტურულ სამყაროთა, ორ დიდ მიმდინარეობათა ქროლვას განიცდიდა თავის სხეულზე, რომელიც ორ ძუძუსა სწოვდა, იძულებული შეიქმნა ერთს უკულტურო „კულტურტრეგერს“ შესჩერებოდა ცარიელ კალთებზე. „მეცხრამეტე საუკუნეში დაიწყო ქართველი ერის ევროპეიზაცია“, ამბობს ერთი ქართველი მწერალი. ევროპეიზაციის რა მოგახსენოთ და ქართული სულის რუსიფიკაციას კი ამ საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. თითქმის მთელი სიტყვა-კაზმული და სიტყვა-წყობილი ლიტერატურა, ჟურნალისტიკა და პუბლიცისტიკა პისარევ, გოგოლ, ჩერნიშევსკი, მიხაილოვსკისა და ლერმონტოვ-ბელინსკების ზედ გავლენით წარმოიშვა.

რუსულ სახელმწიფოებრივ იერიშს ჩვენ ეროვნულ ცხოვრებაზე მიტანილს, რუსის მწერლებისა და მოაზრეთა მოძახილი უმაგრებდა ზურგს.

ამ საუკუნის ქართველობისთვის არც კი მოსულან ქვეყნად არც კანტი, არც ნიცშე, არც შტირნერი, არც სვედენბორგი, არც ვოლტერი, არც მონტენი, არც რუსსო არც შოპენჰაუერი.

გაბატონებული ერი დაბეჩავებულს დამონებულ მეზობელს ზარბაზნებით მარტო როდი ებრძვის, არამედ მთელი თავისი შინაგანი არსებითაც შხამავს თავის მსხვერპლის ორგანიზმს, ვინაიდან იდეები ხშირად უფრო შორს მიდიან ვიდრე დღევანდელი 13 სანტიმეტრიანი მორტირების ტყვიები—მშვიდობიანი იდეები ხშირად უფრო მალე ასნეულებენ დაჩაგრულ ერის სხეულს, ვიდრე სახელმწიფოსაგან მოგონილი სარეპრესიო წესები.

მეცხრამეტე საუკუნეში, კაცი არ გამოჩენილა, რომელიც ჩვენში უკვე თვალსაჩინოდ ფეხმოკიდებულ რუსულ უკულტურო ნიღილიზმის შებრძოლებოდა. თვით უძლიერესმა წარმომადგენელმა ამ საუკუნის ქართული შემოქმედებისა, ილია ჭავჭავაძემ ვერ იკისრა ლესსინგობა. პისარევისეური მუჩქმეების ესთეთიკა სარწმუნოების სიმბოლოდ გაიხადეს დასელებმა და „ევროპეიზმის“ ნიღაბით შემოგვეპარა სლავიანურ-მონგოლური გონებისა და გრძნობის სიჩლუნგე.

არა მარტო მეცხრამეტე, მეოცე საუკუნის მწერლებშიაც იპოვნით ლეონ ტოლსტოის, ამ უბადლო „კულტუროფობის“ და იდეურ რეაქციონერის მოძღვრების ეპიგონებს. იმავ საუკუნეში კოსმოპოლიტიზმის სახით შემოიჭრა ჩვენ სულში, ეროვნული სხეულის მომშხამველი ეროვნული ნიღილიზმი. ამ საუკუნის მეორე ნახევარის ქართველობის ნაციონალური თვით შემეცნება იმდენად უძლური აღმოჩნდა, და ისეთი ნიადაგი დაჰხვდა ამ, დეგენერაციისკენ მიმართულ ლტოლვილებას, რომ თვით ეგზომ მძლავრი მედროშე ქართული ეროვნებისა, როგორიც იყო თ. ილია ჭავჭავაძე, დამარცხებული განილტვა საზოგადოებრივ ასპარეზიდან. ჯერედ არ გამთელებულა ჩვენი გაბზარული ეროვნული სხეული. მიუხედავად მრავალ საუკუნის არსებობისა, თანამედროვე ქართველობას თავისი კულტურული შინაარსი ვერ გამოუმჟღავნებია სავსებით. ჯერ თანამედროვე ქართველობას ვერ გაგვითვალისწინებია, სადაა „ჩვენისა“ და „უცხოს“ საზღვარი. ჯერაც არ ვიცნობთ ქართულ აზრს, ქართულ გრძნობას.

ჩვენ ცხოვრებაში ქართული ფსიხიური ტიპიც არ ჩასახულა და კვლავ უცხოთაგან ამართულ კერპებზე ვლოცულობთ...

⁂

თანამედროვე ქართული კულტურაც ისე ღარიბია და სადა, რომ მისი ფარგალი, მისი ზონა—სიტყვა-კაზმულსა და სიტყვა-წყობილ ლიტერატურას ვერ გასცილებია. ამიტომ ეს-ღა დაგვრჩენია ჩვენი კულტურულ დონეს ბარომეტრად.

ჩვენში ერთ დროს პოეტების მომრავლება ეკერათ პირზე, ახლა „ლიტერატურულ კრიტიკოსების“ შტატის გადიდებაზე უნდა ვიწუხოთ. არსებითად ყველაფერი ემარჯვებათ ჩვენს კრიტიკოსებს ლიტერატურულ მოვლენათა ახსნის გარდა.

ბევრ მათგანს უვარჯიშებია კალამი გასული საუკუნის ლიტერატურულ-ესთეტიურ პრობლემათა განსამარტავად, ასახსნელად, მაგრამ არც ერთს გაჰკვირვებია და თვალში არ მოჰხვედრია თუ რად იყო მთელ მე-19 საუკუნის ლიტერატურის მწერლებს შორის ორი მთიული ყველაზე ძალოვანი და ფესვმაგარი? მე მოგახსენებთ ქართული პოეზიის ორ დაუხვეწელ მთის ალმასებზე —სანდრო ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა მინდა ვახსენო. ორნივე მარტო სდგანან ჩვენ ლიტერატურის პანთეონის ბჭეებთან—ორნივ ჯერაც გამოუცნობი დარჩენილან. ესენი არიან ნამდვილი წარუვყვნელი პირმშონი ქართული შემოქმედებისა. იშვიათად იპოვნით ჩვენს ლიტერატურაში მათ ბა-

---

*) იხ. „სახ. ფურც.“ № 811.

ამხანაგებო, თავისუფალნო მოქალაქენო, მამულიშვილნო! კვირას, 5 მარტს სახალხო ახალ მთავრობისათვის ნდობის გამოსაცხადებლად დილის ათ საათზე, ნაძალადევში გაიმართება

მშვიდობიანი მიტინგი

ამხანაგებო, ჩვენც შეუერთოთ ჩვენი ხმა დემოკრატიის საერთო ხმას!

სიტყვებით: სამი დღით ადრე ჩვენ უძლურ ოპოზიციას წარმოვადგენდით, რუსეთის მთავრობა კი ყოვლად ძლიერს, დღეს კი ეს მთავრობა ტალახშია ამოსვრილი, ხოლო ჩვენ რევოლიუციისა, ჯარისა და ხალხის შემწეობით დავიჭირეთ უპირველესად ადგილი მთავრობისა (მხურვალე ტაში). ძველი მთავრობის განადგურება იმიტომ მოხდა ასე ადვილად, რომ ისტორიამ არ იცის ისეთი სულელი, უსინიდისო, სამარცხვინო მთავრობა, როგორც ძველი რუსეთის ძველი მთავრობა იყო. ჩვენ გავანადგურეთ ძველი მთავრობა, მაგრამ საჭიროა მოპოიუბლის შერჩენა, რაიცა შეიძლება თანხმობით მუშაობით. ერთობა და ხალხის სიყვარული განსაკუთრებით ჯარმა უნდა დაიცვას. განთავისუფლებული ჯარი ეხლანდელ ოფიცრებთან სათანადოდ დაიცვენ მოქალაქობრივ ღირსებათ. მე მესმის ხმა: ვინ აგირჩიათ? ჩვენ არავის აურჩევივართ, ჩვენ რომ არჩევნებისათვის დაგვეცადა მტერს ძალას ვერ წავართმევდით. ჩვენ ამოგვირჩია რუსეთის რევოლიუციამ (მხურვალე ტაში). ჩვენ ერთ წუთსაც არ გავჩერდებით მთავრობის სადგურზე თუ თავისუფალ რუსეთის არჩეული ხალხი საჭიროდ დაინახავს ჩვენს გადადგომას. საჩუქრისა და სიამოვნებისათვის კი არა მოვალეობისა და თავგანწირვის გრძნობა გვამოქმედებს. როცა თავგანწირვა საჭირო არ იქნება ჩვენც წავალთ. ეხლა ჩვენ შემოვკრიბეთ ხალხის საუკეთესო ძალა, მთავრობის მესვეურობა ჩავაბარეთ რუსეთის საზოგადოებრიობის სახეობას, ძველ მთავრობის მიერ ნაწამებ მოქალაქეს თ-დ ლვოვს, იუსტიციის მინისტრად მოვიწვიეთ ხალხის უერთგულესი მეგობარი ალექსანდრე თევდორეს ძე კერენსკი (მხურვალე ტაში), რომელიც ღირსეულ პასუხს მისცემს დახავსებულ....

ახალი მთავრობის განკარგულებანი.

პეტროგრადი, 2 მარტი. 28 თებერვალს შლისელბურგის ციხიდან გაათავისუფლეს 68 დაპატიმრებულნი, მათ შორის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი პიანიხი შვილითურთ. მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა მხოლოდ იმ გაზეთების გამოსვლის ნებართვა დართოს, რომელნიც რევოლუციის წინააღმდეგნი არ იქნებიან.

1 მარტს დაატუსაღეს და თავრიდის სასახლეში მიიყვანეს ვაჭრობის მინისტრი შახოვსკოი.

პეტროგრადის ქალაქის უფროსის სათათბიროს წევრის პოლკოვნიკ ენგელგარტის განკარგულებით სახელმწიფო ბანკის დაცვა დავალებული აქვს სათათბიროს წევრთ ევსეევს და რამოტს.

დროებითი კომიტეტის ბრძანებით სამხედრო-სამედიკო აკადემიის პროფესორს ნიუროვიჩს დაევალა დროებით პეტროგრადის ქალაქის უფროსის თანამდებობის აღსრულება.

პეტროგრადი. 2 მარტი. 2 მარტს დიდი წილი ძველი მთავრობის დაპატიმრებულებისა, გადაიყვანეს თავრიდის სასახლიდან და დამწყვდეულები არიან ციხეში. 2 მარტს სამინისტრო პავილიონიდან წაიყვანეს: სუხომლინოვი, კურლოვი, ბელიაევი, მაკლაკოვი, მაკაროვი. ციხეში გადაყვანამდე დარჩენიათ თავ. ჟევახოვი, ჩაპლინსკი, გრიგორიევი, ბალკი, ლისოგორსკი და სხვები... სულ ბოლოს მოიყვანეს სამინისტრო პავილიონში მანასევიჩ-მანუილოვი ცნობილი შანტაჟისტი.

პეტროგრადი. 2 მარტი. განკარგულება იუსტიციის სამინისტროში. აღმასრულებელი კომიტეტის კომისარებმა შემდეგი განკარგულება გასცეს 1)დაუყონებლივ დაუბრუნდნენ მე-4-ხე სათათბიროს გაციმბირებული დეპუტატები პეტროგრადში. 2) ადვოკატურაში ჩარიცხულ იქმნენ ყველა იურისტი ებრაელები. 3) განთავისუფლებულ იქმნას ყველა პოლიტიკური გამოძიების ქვეშ მყოფი. 4) მიეცა განკარგულება ყველა სამოსამართლო პალატათა პროკურატორას პოლიტიკური ბრალის დადების შეჩერებისა. ყველა განკარგულების შესახებ მაკლაკოვმა და აჯემოვმა იუსტიციის მინისტრს კერენსკის განკარგულების შესახებ მოახსენა. კერენსკიმ სთხოვა კომისარებს 3 მარტამდის დარჩენა, რის შემდეგ ის შეუდგება თავისი თანამდებობის აღსრულებას.

დალს. ორთავე მხოლოდ და მხოლოდ ქართველ ერის გულის წიაღში დაგროვილ შემოქმედებითი ენერგიის აუზიდან ჰკრეფდნენ იდეათა მარგალიტებს.

მთა როგორც მტერთათვის, ისე მოყვარეთათვის ძნელად მისადგომი მიდამო იყო საქართველოს ტერიტორიაზე.

ქართული სული მხოლოდ იქ დარჩა ახლად შემოჭრილ ,,კულტურისგან" შეურყვნელი.

ვაჟამ უთვალავი ახალი პრობლემა წამოაყენა ჩვენს მწერლობაში—უთვალავი ახალი იდეის ჰორიზონტები გადაგვიშალა, მაგრამ ჩვენთვის შეუმჩნევლად დარჩა, რადგან ის ჩვენი სხეულის ნაწილი იყო.

წმინდა ქართული გრძნობა ამ ორ მწერალთ-ღა ემარჯვებოდათ. ნამდვილი ქართული ,,ჩოგნის ცემა" ამ ძალოვან ეპიკოსთა საქმე იყო. ორნივ უმემკვიდროდ გადავიდნენ. ჩვენს ახალ ლიტერატურაში დღესაც კრიზისია. გარდამავალ ხანის წყალ-ქვეშა სიპებს კიდევ ვერ გადაშორებია ქართული ლიტერატურის გემი. მრავალჯერ ჰქონიათ ,,ცილობა" ჩვენ განსწავლულ კრიტიკოსებს ჩვენს მწერლობაში არსებულ ლიტერატურულ კრიზისზე, ზოგი იმის მიზეზად ქართულ ენის შერყვნას ასახელებს, ზოგი ინტელიგენციის სოფლიდან ქალაქად გადაბარგვას (sic), ზოგი ქართველ ქალს აბრალებს, ზოგი პოეტების „გაუნათლებლობას".

ზოგიერთი ჩვენი კრიტიკოსი ხომ დიდად განსწავლულია—კულიკოვსკებისაგან, მათი გენიალობა იმ ზომამდის აღწევს, რომ ხშირად რუსულ „ღმერთის ძებნაში" სწრთვნიან ქართველ მოშაირეებს, ხოლო არც ერთ მათგანს არ მოჰგონებია—რომ ჩვენი ლიტერატურის კრიზისის ერთი მთავარ მიზეზთაგანაა ქართული, სადა სახალხო პოეზიისა და ხალხურ თქმულებათა თვალწარმტაც ნაშთების მივიწყება და წრეს გადასულ ეპიგონობა ბალმონტ-ბრიუსოვებისა. გარნა იბსენის შემოქმედების საძირკველი—ნორვეგიული თქმულებებითა და სიუჟეტებით არაა განმკვიდრებული? გარნა ვოლფგანგ გიოთეს მაგიურობა—და ძალა—ის იყო რომ იგი საუკეთესო კაიმებს თავის შემოქმედებისას ხალხურ თქმულებებისაგან იღებდა. სად ექნებოდა „ფაუსტს" იმდენი შარავანდედი, რომ მისი სიუჟეტი თვით გერმანელ ერს არ ეკარნახა გიოთესთვის. ჩანგ-დალოცვილი ჰაინრიხ ჰაინე ისე ტკბილ-ხმოვანად აჟღერებდა თავის ჯადოსნურ ლირას, რომ მისი ჰანგის ძირითადი მოტივები თვით გერმანელ ხალხის სულში მთვლემარე მელოდიების რეფრენი არ ყოფილიყო? მაგრამ მგონია, ჩვენი კრიტიკოსები დღეს თუ არა, ხვალ მაინც შეიგნებენ სოკრატის თქმას: ,,ილაპარაკოს პოეტმა—პოეზიაზე და დურგალმა კი—დურგლობაზე".

ჩვენი ხელოვნება მანამდის ვერ დადგება სწორსა და უტყუარ გზას—და ჩვენი მწერლობაც ვერ დააღწევს თავს არსებულ კრიზისს, ვიდრე ქართველი ხელოვანი არ შეიგნებს, რომ ერის სული ზღვასა ჰგავს, სადაც ჰუჭყიან ხავსში და ბალახ-ბულუხში ხელუხლები შემოქმედების მარგალიტები სთვლემენ.

ედმონდ როსტანის მამალმა ბასრი ბრჭყალები ჩაასო სამშობლო საფრანგეთის ნოყიერ მიწას და ზეცის რეკასავით წკრიალა ხმით შეჰყივლა ვერცხლის-ფრად მოსადაფებულ მშობლიურ ცას.

ჩვენი მოწინავე თაობა კი იმითი განირჩევა როსტანისეულ მამლისაგან, რომ სხვის ქანდარაზე წამოსკუპული ჰყივის!..

ქ. აბაშისპირელი.

კერენსკის სიტყვა მუშათა დეპუტატების საბჭოში.

პეტროგრადი. 2 მარტი. ამხანაგებო, მე ხუთი წამის განმავლობაში უნდა მომეცა პასუხი, ამიტომ ვერ შევიძელ თქვენი მანდატი მიმეღო ჩემი გადაწყვეტილებისათვის—მიმეღო ისე განვაცხადე თანხმობა დროებით მთავრობაში შესვლაზე. ამხანაგებო, ჩემ ხელში იმყოფებოდენ ძველი მთავრობის წარმომადგენელნი, მე ვერ გაუშვი მათ ხელი (აპლოდისმენტები დ ხმები: ,,სწორია.") მე მივიღე წინადადება და შეველ კიდეც დროებით მთავრობაში —იუსტიციის მინისტრის მინისტრად. (ტაში) როგორც კი ავიღე იუსტიციის მინისტრის პორთფელი, წამსვე გავეცი ბრძანება რომ განთავისუფლონ ყველა პოლიტიკური ტუსაღები და განსაკუთრებული პატივით უნდა ჩამოყვანილ იქმნან შორეულ ციმბირიდან ჩვენი ამხანაგი, მე-4 სათათბიროს ყოფილი წევრები დეპუტატები, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრები და აგრეთვე დეპუტატები მე-2 სათათბიროსი.

ამხანაგებო! რადგანაც მე დღეიდან იუსტიციის მინისტრის როლს ავასრულებ, ამიტომ მე ხელი უნდა ავიღო მუშათა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგის სახელზე, მაგრამ მე უხალხოდ ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენია. ხმები: „გთხოვთ, გთხოვთ"...

ამხანაგებო! დროებით მთავრობაში მე იგივე ვრჩები, რაც ვიყავი—სახელდობრ—რესპუბლიკანელი. (აპლოდისმენტები) ჩემი მოღვაწეობა ხალხის ნებას უნდა დაეყრდნოს. ხალხის ნება უნდა იქმნეს ჩემი ძლიერი ყავარჯენი.

მერე შეგიძლიანთ მე მენდოთ, ისე როგორც თქვენს თავს ენდობით (ხმები: შეგვიძლია—გენდობით ამხანაგო!) მე უხალხოდ ვერ გავძლებ, ვერ ვიცხოვრებ და იმ წამში როცა თქვენ უნდობლობის იჭვი შეგეპარებათ, თუ გინდ მომკალით. (ისევ ოვაციები) უცხადებ ახალ მთავრობას, რომ მე დემოკრატიის ინტერესების დამცველი ვარ. და ახალ მთავრობამაც ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ აზრებსა და დებულებებს, რომელთაც მე ხალხის, დემოკრატიის სახელით დავიცავ (ხმები: გაუმარჯოს იუსტიციის მინისტრს).

ამხანაგებო! დრო ჩვენ არ დაგვიცდის, ახლავე უნდა შევუდგეთ ორგანიზაციისა და დისციპლინის განხორციელებას. ამისთვის თქვენ უნდა გაგვიმაგროთ ზურგი—ჩვენ, თქვენს წარმომადგენლებს, რომელნიც მზადა ვართ თავი დავდვათ ხალხის ინტერესების დასაცავად. მე ვფიქრობ რომ არ გამკიცხავთ; მომცემ საშვალებას, განვახორციელო თავისუფლების ყველა გარანტია (ტაში).

ამხანაგებო! ნება მომეცით დავუბრუნდე დროებით მთავრობას და განუცხადო, რომ შევდივარ მის წევრად, როგორც თქვენი წარმომადგენელი, თქვენი თანხმობით (მხურვალე ტაში დ ოვაციები, „გაუმარჯოს კერენსკის". ყველანი ადგებიან და ხელით გაიყვანენ კერენსკის აღმასრულებელ კომიტეტის კაბინეტში).

პეტროგრადი. 2 მარტი. იუსტიციის სამინისტროში აღმოაჩინეს რაპორტი პროტოპოპოვისა, რომლის ძალით კერენსკი პასუხის გებაში უნდა მიეცათ 102 მუხლის ძალით.

უმაღლესი მთავარ-მართებლის ბრძანება

ტფილისი 3 მარტი.

ნებითა მონარქისა დავინიშნე მე უმაღლეს მთავარ-სარდლად. ვიწერ პირჯვარს და მხურვალედ შევთხოვ ღმერთს აღმომიჩინოს თავისი უძლეველი დახმარება. მტკიცედ მრწამს რომ სამშობლოს სასარგებლოდ ის უძლეველი და ყოვლად მოწყალე შეისმენს ლოცვას ჩემსას, ღრმად მრწამს რომ მხოლოდ ღვთისგან მივიღებ ძალას და გონებას მიგიყვანონ თქვენ საბოლოო გამარჯვებამდის.

რაც შეეხებათ თქვენ უმამაცნო გმირებო რუსეთის მამულისა, ვიცი რომ მზად ხართ ბევრი რამ შესწიროთ სამშობლოს კეთილდღეობას თუ თქვენთან იქნება უფლის დახმარება. გრწამდეთ ჩემთან ერთად რომ ღმერთი შეგვეწევა იცოდეთ რომ გამარჯვებისთვის აუცილებელია ერთგული თავდადებული მუშაობა ზურგისა, რათა გამოჩნდეს მთელი ქვეყნის წინაშე ჩვენი უძლეველი ძალა სულისა და სამშობლოს ძლიერება.

გენერალ ადიუტანტი ნიკოლოზი.

ომის დღიური

ომის ასპარეზებით თვალსაჩინო ცვლილებები არ მომხდარა. გარდა იმისა, რომ მესოპოტამიაში და სპარსეთში ინგლისის და რუსის ჯარი აქტიურად მოქმედობენ და წინ იწევენ.

დღეს ომის საქმეები მთლად დაჩრდილულია რუსეთის რევოლუციით და რა თქმა უნდა, ვიდრე მდგომარეობა სავსებით არ გამოირკვევა და სახელმწიფოს ცხოვრება განსაზღვრულ კალაპოტში არ ჩადგება, აღმოსავლეთის ასპარეზით ფართო ოპერაციის დაწყებას არ უნდა მოველოდეთ, თუ კი გერმანია გარემოებით არ ისარგებლებს და არ შემოუტევს რუსის ჯარს.

ამიტომ საჭიროა, რომ დროებითი მთავრობამ მალე ჩაიგდოს ხელში საბოლოოდ მთელი სახელმწიფოს გამგებლობა და წესიერება აღადგინოს.

ი. გვ—გა—ლი.

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი, 3 მარტი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის და ავსტრიის ბრძოლის პირი. სტანისლავოვის რაიონში მოპირდაპირემ იერიში მოიტანა ჩვენს პოზიციაზე და თხრილების ნაწილი წაგვართვა, მაგრამ კონტრიერიშით უკუვაქციეთ თავის თხრილებში. მოპირდაპირის მზვერავთა ძლიერი რაზმები სხვა და სხვა ალაგას ცდილობდნენ იერიშის მოტანას, მაგრამ ყველგან უკუვაქციეთ.

რუმინიის ბრძოლის პირი. სროლაა.

კავკასიის ბრძოლის პირი. ქერმანშაის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა უკუაქცია ოსმალები გამაგრებულ პოზიციიდან ნალეშქიანის გადასავალზე და დავიპყარით ეს გადასავალი. დანარჩენ ბრძოლის პირით მარჯვედ მოქმედობენ ჩვენი მზვერავები.

მესოპოტამიაში.

ლონდონი, 2 მარტი. ოფიციალური. ჩვენმა მოწინავე რაზმებმა 30 ვერსით წინ წაიწიეს ბაღდადის ჩრდილოეთით. ზომები მივიღეთ, რომ ბაღდადს წყალი არ მოსდებოდა წყალდიდობის დროს. ბაღდადის თოფის ქარხანის შეკეთებას შეუდგექით. რკინის გზის სახელოსნოში აღმოვაჩინეთ 5 სრულიად დაუზიანებელი ორთქმავალი და რამდენიმე ვაგონი: თოფხანებში აღმოჩნდა მრავალი ძველი სისტემის ზარბაზანი და იარაღი. ვიპოვეთ ის ზარბაზნებიც, რომელიც შარშან ჩვენი ჯარის დატყვევების დროს წაგვართვეს,

ახალი ამბავი

◆ **თავად-აზნაურთა შორის.** ტფ. გუბერნიის თ.-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელმა თ-დმა დ. ე. ჩოლოყაშვილმა 3 მარტს თავად-აზნაურთა საგანგებო კრება მოიწვია. თ-დმა ჩოლოყაშვილმა თავად-აზნაურთ გადასცა დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის თხოვნა, რომ ხელი შეუწყონ მას ქალაქ-სოფლად მშვიდობიანობისა და წესიერების დამყარებას. კრებამ წინამძღოლის მოხსენება ცნობად მიიღო. კრებაზე აგრეთვე აღიძრა საკითხი იმის შესახებ, გამოსთქვას თავად-აზნაურობამ თავისი აზრი დღევანდელ ამბების შესახებ, თუ არა. თავად-აზნაურთ შეუძლებლად სცნეს გაჩუმება ამ დიდ ისტორიულ მომენტის დროს, მაგრამ ამასთანავე საჭიროდ სცნეს, წინასწარ ყოველივე დაწვრილებით გაიცნონ, მოისმინონ აზრი ჩვენის ხალხის სხვა და სხვა ჯგუფისა და ქართულ დაწესებულებათა წარმომადგენლებისა და მათთან ერთად სთქვან თავიანთი სიტყვა. თავად-აზნაურთა წინამძღოლს მიენდო, ყოველი ახალი მოვლენა დროგამოშვებით აცნობოს ხოლმე თავად-აზნაურთ.

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოებაში.** ტფ. განყოფილების გამგეობის კრება 3 მარტს გაიმართა. გამგეობამ დროებით გამგეობის თავმჯდომარის შიო დედაბრიშვილისგან ჩაიბარა საქმეები და ანგარიშები და შემდეგ შეიმუშავა მომავალი სამოქმედო გეგმა. პრეზიდიუმის არჩევა გადაიდო შემდეგის კრებისთვის, რომელიც გაიმართება ორშაბათს, 6 მარტს, საღამოს 8 საათზე წ.-კ. საზოგადოების კანცელარიაში.

◆ **ამიერ კავკასიის ბანკი.** პარასკევს, 3 მარტს, მოხდა კერძო კრება ახლად დაარსებულ ამიერ კავკასიის ბანკის აქციონერებისა. საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიშის განხილვის შემდეგ აქციონერთა სხვა და სხვა ჯგუფებმა დაასახელეს კანდიდატები საბჭოსა და გამგეობის წევრობაზე. დასახელებული არიან აქციონერთა ერთის ნაწილისაგან: გამგეობაში—იასონ მერაბის ძე ლორთქიფანიძე (კავკავის საურთიერთო კრედიტის თავმჯდომარე), რაჟდენ დათეშიძე (ქუთაისის საურთიერთო კრედიტის თავმჯდომარე), დავით ვასილის ძე ქუთათელაძე (ბაქოს სახაზინო პალატის გამგის თანაშემწე). საბჭოში თ-დ ლევან ვაჩნაძე, ექ. მელიქიშვილი, ივ. ელიაშვილი, ვ. მუსხელაშვილი, ს. ფურაქიშვილი, წვერავა, ალ. სარაჯიშვილი, კვეზერელი-კოპაძე, ძიგველოვი, თ-დ ი. დადიანი, ნიკ. იოსელიანი, ნიკ. ჯაყელი, იური ფაღავა, აკაკი ხოშტარია, მუხთაროვი, ლევან მამულაშვილი, ბარბაქაძე, ქავთარაძე, ელიგულაშვილი; სარევიზიო კომისიის წევრებად—გ. დ. ჟურული, ივ. ზ. ანდრონიკაშვილი, გ. მ. ლასხიშვილი, და ი. სტურუა.

◆ **გაუგებრობა, თუ სხვა რამ?** ამიერ-კავკასიის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის ცნობით ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას ბალაჯარიდან სამტრედიაში მოსვლია 2 ვაგონი მარილი, რომელიც სამტრედიაში მიუღია ზემოხსენებულ განყოფილების რწმუნებულს მაჭავარიანს და იქვე გაუყიდნია სამტრედიელ ვაჭრებზე იმ დროს, როდესიც სამტრედიაში კოოპერატივიც არსებობს და საქვ. საზოგადოების განყოფილებაც. ეს ამბავი კავშირმა საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას აცნობა. როგორც გავიგეთ, გამგეობას უკვე მიუღია ღონისძიებანი სიმართლის გამოსარკვევად.

◆ **სარატოვიდან შემდეგი დეპეშა მოგვივიდა:** გილოცავთ დიად ისტორიულ მომენტის დადგომას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. იმედი გვაქვს, ახალი ცხოვრების სხივი საქართველოს აღორძინების საქმესაც გააშუქებს. სარატოვის ქართველი სტუდენტები.

◆ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების შემოსავალი** წარსულ თებერვლის განმავლობაში უდრიდა 16,032 მან. 55 კაპ., ხოლო ხარჯი—15,419 მან, 62 კაპ. 1 მარტისთვის საზოგადოებას ჰქონდა სულ 404,614 მან. 32 კაპ.

◆ **მევენახეობა-მეღვინეობის** ტფ. საგუბერნიო კომიტეტმა დაადგინა, დაარსოს საკუთარი საწყობი ვაზის საწამლებელ მასალისა.

◆ **ამიერ-კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის** აქციონერთა პირველი საზოგადო კრება გაიმართება დღეს, 5 მარტს, დილის 11 საათზე. ბანკის ბინაზე, ლორის-მელიქოვის ქ., 5 (ტფ. სათავად-აზნაურო სადგილმამულო ბანკის ახალ შენობაში კრების საგნები შემდეგია: 1) საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიში, 2) საბჭოს წევრთა რიცხვის მომატება, 3) საბჭოს წევრთა არჩევა, 4) 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, 5) მოხსენება ბანკის საჭიროებისათვის უძრავ მამულების შეძენის შესახებ, 6) გამგეობის სამის წევრის არჩევა და 7) სარევიზიო კომისიის ხუთის წევრის არჩევა.

ხალხი და ახალი მდგომარეობა

გუშინწინ ოფიციალურად გამოეცხადა ტფილისის მცხოვრებთ ძველი მთავრობის გადადგომის ამბავი, გუშინწინ თვით მეფის ნაცვალმა თავად-აზნაურობის, ქალაქის მესვეურების, სამღვდელოებისა და პრესის წარმომადგენლების წინაშე შეაფასა ახალი მდგომარეობა და აღიარა მისი დადებითი მნიშვნელობა.

ამ განცხადებით მთელი კავკასია დაუკავშირდა ახალ მთავრობას, რუსეთის ყველა ქალაქშიაც ასეთივე ამბავი მოხდა. მოსკოვი კი ხანი დაემორჩილა ახალ მთავრობას. ახალმა მთავრობამ უკვე შეიტანა ხალხის ფართო წრეებში სიწყნარე, ხალხს იმედი აქვს მთავრობის და ელის ახალ მთავრობისაგან იმედების გამართლებას.

ამიერიდან გუშინდელი მინისტრები უბრალო მოქალაქეებად არიან გამოცხადებულნი, კიდევ მეტი, ისეთ მოქალაქეებად, რომელთაც მოქალაქობრივი მოვალეობა ხალხის წინაშე ვერ მოიხადეს და ხალხი ტანჯვა-წვალების კარამდე მიიყვანეს.

დღეს მთელ რუსეთს განაგებს არა ძველი წყობილებით დანიშნული მთავრობა, არა გალიცინი, რიტიხი, შახოვსკი, გრიგოროვიჩი, კრიგერ-ვოინოვსკი და სხ., არამედ სახელმწიფო სათათბიროს მიერ არჩეული და შედგენილი კომიტეტი კაპნისტის, ბარიშნიკოვის, გრონსკის, სავიჩის, ვოლკოვის, მაკლაკოვის, ვინოგრადოვის და სხვ. სამინისტროს უმაღლესი მესვეური და ხელმძღვანელი რუსეთის პოლიტიკურ სიცოცხლისა დღეს მინისტრთა თავმჯდომარე ან სხვა რომელიმე ძალა კი არ არის, არამედ დეპუტატები სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო, სოციალისტები ჩხეიძე და კერენსკი, კადეტები მილიუკოვი, შიდლოვსკი და სხ. პროგრესიული ძალები.

რუსეთის ეხლანდელ მთავრობას არც ერთი მემარჯვენე არა ჰყავს, სათათბირომ დაინახა და დარწმუნდა, რომ ქვეყნის ხსნა მხოლოდ და მხოლოდ მემარცხენე ძალებშია და არა შავრაზმელებსა, პლუტოკრატიასა და ბურჟუაზიაში.

მთავრობის და ხალხის წრეების ეხლანდელი ცვლილება უშესანიშნავესი მოვლენაა რუსეთის მრავალ ერის ცხოვრებისათვის. ამ ცვლილებას თვით თანამედროვე ომისათვისაც ექნება მნიშვნელობა და მაშასადამე ის ბეჭედს დაასვამს სამსოფლიო ქარტეხილსაც.

ამ უდიდეს მოვლენას საჭიროა ფხიზელი თვალით შევხედოთ. პოლიტიკა ისეთი მცენარეა, რომელსაც არც მცხუნვარე მზის მწველი სხივი მოუხდება და არც იანვრის თოვლის სუსხი. ღონიერის მკლავით, ცივი გონებით, გამობრძმედილის ნებისყოფით უნდა შევაფასოთ არსებული ძალთა განწყობილება და შევასრულოთ ის, რასაც ეხლანდელი მომენტი გვავალებს.

ვინ არ დაინახავს, ან არ ხედავს, რომ ეხლანდელი ცვლილება ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ დამკვიდრებული. სახელმწიფოს მწვერვალზე გაიელვა ხალხის ძალამ, მაგრამ სახელმწიფოს საფუძველი კი კვლავ ძველ წყობილების ძალებს აქვს დამკვიდრებული და უადრესი მნიშვნელობა კი სწორედ ამ უკანასკნელს აქვს. რუსეთის ახალ შენობის აგებას ეხლა სახურავიდან აპირებენ. პოლიტიკაში შესაძლებელია ასეთი მუშაობა, მაგრამ ის რომ სავსებით არ დამთავრდეს, ამისათვის საჭიროა ორი რამ: 1) მესვეურთა არაჩვეულებრივი სიფხიზლე, 2) მესვეურების ძალის გამაგრება, ხალხის დროიანად გამოცოცხლება, რომ ხალხსა და მესვეურთა კავშირი კლდესებრ განმტკიცდეს.

მხოლოდ იმ შემთხვევაში მიეცემა ძალა ჩვენს ეხლანდელ იმედს, ოცნებას, თუ გამოვეთხოვებით სადათას ძილს, თუ ისევე ჩავუდგებით სათავეში ადგილობრივ ცხოვრებას, როგორც ეს მესვეურებმა მოახერხეს უმაღლეს სფეროში.

ეხლანდელი მთავრობა ხალხისაგან მოითხოვს თვითმოქმედებას, ხალხის შვილების გაბატონებას ყოველ ძირითად დაწესებულებაში და რამდენადაც ამას ვერ შევსძლებთ, ამის უნარს ვერ გამოვიჩენთ, იმდენადვე თვით ახალ მთავრობის იმედს გავამტყუნებთ, იმდენადვე ჩვენს ოცნებას პლატონის ოცნების ხასიათი ექნება.

სახელმწიფო მოითხოვს ჩვენგან სიცოცხლეს, ამოძრავებას, თვითმოქმედებას და თუ პირში წყალი დავიგუბეთ, თუ ხელებში ბურთი დავიჭირეთ ვერაფერს გავარიგებთ. მოძრაობაა სიცოცხლე, ისაა შემომქმედი ყოველ ღირებულების და იგი უნდა გამოვიჩინოთ ამ წუთში. გაჩერება დანაშაულია, სიჩუმე—სიკვდილია, უმოქმედობა დაღუპავს ხალხსაც და სახელმწიფოსაც.

ხალხის წარმომადგენლება ხალხის სურვილის მხოლოდ პირველი მუხლი შეასრულეს: ძველი მაჯლაჯუნა მთავრობა გადააგდეს. ხომ ყველამ იცის რისთვის:—იმიტომ, რომ ძველი მთავრობა ხალხის ამოძრავებას, ხალხის თვითმოქმედებას უარყოფდა და ამ გზით კი რუსეთი საშინელ კატასტროფამდე მივიდა. ხალხის წარმომადგენლებმა ყოველივე ეს ძალიან კარგად იციან. მაგრამ მათი ცოდნა კი არ არის საკმაო, ძვირფასია თვით ხალხის ცოდნა, ხალხის მოთხოვნილება, ხალხის სურვილები. დღეს ხალხმა უნდა მოსთხოვოს თავის წარმომადგენელს როცა სურს, დღეს ხალხმა დაჭრილის და განაწამებ ადამიანის ხმით უნდა გადასცეს თავის შვილებს რაც სტკივა და რაც განკურნავს მის იარას. მარტივად, სადაც და სათითაოდ უნდა განვაცხადოთ რაც გვესაჭიროება, რაც გააძლიერებს ხალხს და სახელმწიფოს. ეხლავე უნდა ვსთქვათ ის უფლებაა საჭირო ცხოვრების მოსაგვარებლად, სადაც რა მდგომარეობაა შემოსაღები, განსახორციელებელი და დაგვიანება შეუძლებელია. ეხლავე უნდა განმტკიცდეს კავშირი ჩვენსა და მთავრობის შორის, ეხლავე უნდა ვილაპარაკოთ არა ქაღალდის და კანცელიარების ენით, არამედ პირდაპირი, უშუამავლო და ხალხის გარკვეული ენით.

ხალხმა უნდა იცოდეს, რომ უზენაესი მესვეური სახელმწიფოს ცხოვრებისა ხალხია, ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ეხლანდელი დრო ხალხის დროა, ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ის არის ყოველივეს პატრონი, ყოვლისავე ბატონი, რომ ხალხზე უმაღლესი, უდიადესი, არავინ არის. დემოკრატიის ხმას მორჩილებს ყოველივე ხალხის ხმას მოელის ეხლანდელი მთავრობა, ხალხის მოძრაობას მოითხოვს სახელმწიფო! ხალხშია იმედი, ხალხია იმედი, ხალხია მიზანი, საბაბი, სათავე და დასასრული ყოველიფერი.

წამის დაუკარგველად ხალხმა თავისი ხმა უნდა მოაწვდინოს თავის შვილებს და განკარგულება მისცეს როგორ და რა ნაირად იმუშაოს...

თედო ღლონტი.

შ. მესხიშვილის სიტყვა ქ. საბჭოში

(2 მარტს წარმოთქმული)

ბ-ნო ხმოსნებო! ამ უკანასკნელ დღეებში მომხდარი ამბები რუსეთის საზოგადოებრიობის დიდი დღესასწაულია. ჰა, ახლა მაინც, 1905 წლის მანიფესტის 12 წლის შემდეგ ჩვენი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე ერთი პოზიცია კიდევ დავიჭირეთ და ისიც დიდმნიშვნელოვანი.

შესდგა პასუხისმგებელი სამინისტრო. ძველ რეჟიმს სასიკვდილოდ ჩასცეს მახვილი. იმ რეჟიმს, რომლის ყრუ კედელი პირველად 17 ოქტომბრის მანიფესტმა შეანგრია. შეიქმნა ნორმალური მდგომარეობა, აუცილებელი ყოველგვარ კონსტიტუცია სახელმწიფოსთვის, როცა აღმასრულებელი ძალა პასუხისმგებელია ქვეყნის წინაშე საკანონმდებლო დაწესებულებათა სახით. აი, რატომ ვარ ღრმად დარწმუნებული, რომ ეს უბრალო პიროვნებათა შეცვლა კი არაა, რომელსაც ჩვენ ძლიერ შევეჩვიეთ, არამედ ძირითადი გარდაქმნაა სახელმწიფოებრივ-უფლებრივ ურთიერთობისა და ახალ პიროვნებებს უეჭველია მართვა-გამგეობის ახალი მეთოდები მოჰყვება.

ჩვენთვის კავკასიის ერებისთვის, საერთო სამოქალაქო უფლებებს გარდა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია უფლება მოსილი სახელმწიფო—განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროვნულ საკითხს. და ეს საკითხი გვესმის არა მარტო ერთა უფლებრივად გათანასწორებლად, როგორც აქ ერთმა ხმოსანმა ილაპარაკა. არა—ჩვენ ვისწრაფით შევქმნათ საუკეთესო პირობები ყოველ ერის ფიზიკურ და სულიერ ძალთა განვითარებისთვის.

მაგრამ ამ მოთხოვნილებას ჩვენ არ წარვუდგენთ ახალ მთავრობას ამ ჟამადვე. ამისათვის მომენტი შესაფერი არაა, აღმასრულებელ კომიტეტს ამ ჟამად უდიდესი და პასუხსაგები საკითხები აქვს გადასაწყვეტად. საჭიროა მთავრობის გამაგრება ახალ საფუძველზე, საჭიროა იმ არევ-დარევის მოსპობა, რომელსაც ძველი მთავრობა განგებ ჰქმნიდა. მან უნდა მოაგვაროს სურსათ-სანოვაგის საქმე და ყოველი საჭიროება არმიისა დააკმაყოფილოს, რათა მთელმა ქვეყანამ, გაერთიანებულმა და ამ ერთობით ძლიერმა შესძლოს გარეშე მტრის გამკლავება.

მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ თავის დროზე უპირველესი ჩვენი მოთხოვნილება იქნება ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა იმნაირად, რა ნაირადაც ჩვენის თვალსაზრისით საჭიროა და მისკენ გავსწევთ ყოველგვარ საშუალებათა. მე მინდა დავიჯერო, რომ მე საქმის თაოსნობის თვით ახალი მთავრობა იკისრებს და ჩვენ იძულებულნი აღარ ვიქნებით მოთხოვნილებანი წარვადგინოთ. საფიქრებელია, რომ ამიერიდან ეროვნებათა ბედ-იღბალი უკვე აღარ იქნება ცალკე პიროვნებათა უკანტროლო მოქმედებაზე დამოკიდებული, არამედ ანგარიში გაეწევა ერთა საზოგადოებრივ აზრს, ამიტომ საზოგადოებრივ აზრის შექმნისა და ორგანიზაციას არაფერი დაბრკოლება უნდა გადაეღობოს წინ, რადგან თვით ახალი მთავრობა მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივ აზრს უნდა დაეყრდნოს. ბ-ნო ხმოსნებო! განა მოგონება გინდათ იმისა, რომ ახლანდელი ცვლილება დამოუკიდებელი არაა, იგი წარსულთან გადაბლართულია, იგი ეპიზოდია ხალხის უფლებისათვის ბრძოლისა. ეს რომ მოხდა, ესაა ხანგრძლივი ბრძოლის ნაყოფი როდესაც საუკეთესო რუსის მოქალაქენი მსხვერპლად ეწირებოდნენ სამშობლოს კეთილდღეობას და რომელნიც ახლაც უდანაშაულოდ ისჯებიან.

ამიტომ, რუსეთისათვის ამ სასიხარულო დღეს, ახალი მთავრობა რომ საზოგადოებას უფრო დაუახლოვდეს, საჭიროა სრული ამნისტია გამოცხადდეს ეგრედ წოდებულ პოლიტიკურ დამნაშავეებისათვის.

მე დარწმუნებული ვარ, ახალი მთავრობა ამ საქმეს საჩქაროდ განახორციელებს. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ არის მრავალი პირი, რომელნიც ადგილობრივ მთავრობისაგან იტანჯებიან და იდევნებიან საკუთარ რწმენა-მისწრაფებისთვის. და თუ ადგილობრივი მთავრობა მართლაც ხელი-ხელ ჩაკიდებული მისდევს საზოგადოებას, მან უნდა ისმინოს ჩვენი ხმა და საჩქაროდ გამოაცხადოს ამნისტია. ეს იქნება სამართლიანი და ღირსეული ნაბიჯი ერთმანეთის გაგებისა და დაახლოვებისათვის.

ახლა შევეხები იმ კონკრეტიულ ზომებს, რომელიც ქალაქის საბჭომ უნდა განახორციელოს. მე ვუერთებ ხმას ქალაქის მოურავის აზრს, ოღონდ უნდა დაუმატო, რომ ხალხს სრული მშვიდობიანობა უნდა ურჩიოთ. ყოველი უადგილო გამოსვლა სარგებლობას მოუტანს იმ ხალხს, ვისი ინტერესიც შელახულია ახალი წესწყობილების დამყარებით. წარსულის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ხსენებულ ხალხს მხოლოდ მაშინ აქვთ მნიშვნელობა, როცა საზოგადოებრიობასთან საბრძოლველად მათ აკავშირებდა მთავრობა. რახან დღეს მთავრობა ჩვენთან არის, საშიში აღარაფერია. დაე ჩვენი სიჩუმე, სიჩუმე ხალხისა, რომელსაც მტკიცედ სჯერა, რომ უკან დაბრუნება შეუძლებელია, დაე ჩვენი სიჩუმე იყოს სამგლოვიარო მარში მომაკვდავ რეჟიმისადმი. მე მხოლოდ მეშინიან, ვაი თუ ჩვენი სიჩუმე ვინმემ ჩვენ სისუსტედ მიიჩნიოს. ქვეყანამ და აღმსრულებელმა კომიტეტმა უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ გაჩუმებულნი ვართ, მაგრამ თანაც მზად ვართ, თუ საჭირო იქნება, როგორც ერთი ადამიანი, აღვსდგეთ ბრძოლით მოპოვებულ უფლებათა დასაცველად, თუ კი ვინმე გაბედა მათი გაწბილება.

ვათავებ რა ჩემს სიტყვას, ბ-ნო ხმოსნებო, მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრების ახალ ხანში შევსდგით ფეხი და ამიერიდან საშუალება გვექნება სერიოზულად ვიბრძოლოთ ხალხის სრულ უფლებიანობისათვის. და მე მწამს, როცა საერთო სამოქალაქო უფლებებთან ერთად ჩვენ მივაღწევთ ჩვენ ნაციონალურ მოთხოვნილებათა განხორციელებას, როდესაც საკანონმდებლო გზით დააკანონებენ ჩვენს უფლებებს და ვალდებულებას—მაშინ მინიმუმამდე დავა ის ნაციონალური შუღლი, რომელსაც დღეს ასეთი დისონანსი შეაქვს ჩვენს ცხოვრებაში.

დაგვიანებული პასუხი

ჩემს ნაცნობებს მოეხსენება, რომ რამდენიმე თვე ავად ვიყავი. გაზეთების კითხვა აკრძალული მქონდა. მორჩენის შემდეგ აუარებელი ჟურნალ-გაზეთი გამიხდა გადასაკითხი. სხვათა შორის წარსულის წლის „სახალხო ფურცლის" № 547-ში შემხვდა ერთი წერილი ვითომდა სოფ. წინარეხიდან. ამ წერილს ქვეშ აწერია მ. ქეშელაშვილი. იგი მხოლოდ იმიტომ არის დაწერილი, რომ ჩემს პიროვნებას რაიმე ჩირქი მოსცხოს. ამიტომ იძულებული ვარ პასუხი გავსცე...

16 წელიწადია წინარეხში ვარ. ოთხი განყ. მქონდა ხოლმე. ხშირად ბავშვების მეორე წყებას შუადღის უკანაც ვასწავლიდი. მქონდა საკვირაო სკოლა, სახალხო კითხვები, საღამოს კურსები. არის მაგალითები 40—50 წ. კაცებს ვასწავლე წერა-კითხვა. წერა-კითხვის ამდენი მცოდნე ქართლის სოფლებში არსად შემხვედრიაო,—ბევრს უთქვამს ჩემთვის. მუდამ ჩემი ოთახები კანცელარიას მოაგონებდა მნახველს. ყველა სოფლის საჭირო ქაღალდი ჩემთან იწერებოდა. ერთი სიტყვით, სოფელში „ჩხირი არ გატყდებოდა" უჩემოდ. ყოფილან ჩემთან სარევიზიოდ ისეთი პედაგოგ-მწერალ-მოღვაწენი, როგორნიც არიან: პეტრე მირიანაშვილი, ს. ფირცხალავა, ლ. ბოცვაძე, პ. სურგულაძე, ა. ჯაჯანაშვილი და სხვა. ყველა აღტაცებაში მოსულა. აი, მაგ., რას სწერდა დამსახურებული პედაგოგი ლ. ბოცვაძე თავის მოხსენებაში 1909 წ.: „მასწავლებლის სასახელოდ ისიც უნდა ვსთქვა, რომ მას ზნეობრივი გავლენა მარტო ბავშვებზე კი არა, მთელ ხალხზე აქვს. ის არის ხალხის ჭირ-ვარმის შუა გამყოფი, ის არის ხალხის ყოველს საქმეში მრჩეველი, დამრიგებელი. ნამდვილი სახალხო მასწავლებელია, იდეით გატაცებული"-ო. ასე აღტაცებით მიხსენებდნენ სხვებიც. ეხლაც, მიუხედავად თქვენი არა საკადრისი ოინ-ხრიკებისა, თქვენი შხამიანი გულის გასახეთქად, „გამგეობის" უკანასკნელ ანგარიშში აი რა სწერია: „მასწავლებელს გიუნაშვილს სამართლიანად გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა აქვს დამსახურებული სოფლელებისაგან, რადგან იგი სული და გულია სოფლისა, გაჭირვების ტალ-კვესია". შემეძლო აუარებელი მაგალითი მომეყვანა ჩემი ღირსების დაფასებისა, მაგრამ ვშიშობ თავის ქებად არავინ მიიღოს. ვგონებ კი აქედანაც დარწმუნდება მკითხველი, თუ როგორ სცრუობს ჩვენი „გამიშავებელი" მიხა. შემდეგ იგი თავისს თავს თითონვე ამტყუნებს, როდესაც ამბობს: „ხალხს უყვარს სკოლა და დიდის იმედით უყურებენო". მერე ვინ შეაყვარა ხალხს სკოლა? იქნება თქვენ? ან იქნებ, წინარეხელები თვით იბადებიან სკოლის მოყვარულები? აბა მოიგონოთ ის დრო, როდესაც აქ სკოლის ახალი შენობა შენდებოდა? თურმე წინარეხელები ფასადაც არა მუშაობდნენ—არ გვინდა სკოლაო—და სხვა სოფლებიდან ერეკებოდნენ მუშებს. ამ ბოლო ხანში კი მთელი შენობა სოფელს შევაკეთებინე და საზოგადოდ სკოლისთვის ოთხმოცი—ასი თუმნის საქმე გავაკეთებინე. მახლობელი სოფლებიდანაც კი მუქთად მეხმარებოდნენ. ეს ყველაფერი კარგად იცით, მაგრამ ვითომ სხვას ატყუებთ. „წადილი დიდი აქვთ, რომ შვილებს ასწავლონ, მაგრამ ზოგს არ უხერხდება შვილის მოთავსება უადგილობის გამო და დიდად შეწუხებული ელის მეორე წელიწადსო",—ჰბრძანებთ თქვენ, ბ. მიხავ! ერთი ქუდი ძირს დასდეთ და სთქვით: როდის გენუკვათ სკოლის საქმე, როდის ჩაიხედეთ სკოლის დავთრებში, ვინ შემოგჩივლათ ბავშვი მეორე წლისთვის დამრჩაო?" წინადადებას გაძლევთ, ერთი ადამიანი მაინც გამონახოთ და ათქმევინოთ, რომ ვისმე ბავშვი სკოლის გარეშე დარჩენილიყვეს ამ 15 წლის განმავლობაში. თუ ვისმე აღმოაჩენთ ამგვარს, რა სასჯელსაც გადამიწყვეტავთ, სიამოვნებით ვიტვირთებ. სწორედ იმან გამხადა ავად, რომ სკოლის გარეშე არავისა ვსტოვებდი. ეგ კანონიერი იქნებოდა და მე კი, საქმის სიყვარულით პედაგოგიურს წესებსაც ვღალატობდი. ჩემთან სწავლობდნენ მახლობელი სოფლების ბავშვებიც: კავთისხევიდან, ძეგვიდან, ნიჩბისიდან და სხვა. აქაური ბავშვები რომ უკან დამეყენებინა, არ მეტყოდნენ, ეგენი რად მიიღე, თუ ალაგი არა გაქვსო? ეს ფაქტიც კმარა თქვენი პირის გასაშავებლად. ჩავყვეთ ქვეით. „ომამდის თვით ხალხმა მოახერხა მშვენიერი წყაროს გამოყვანა სოფელში, რომელიც დიდად არგებს სოფელს (არგებს კი არა, ეხლაცა ჰრგებს). ერთი ტოტი სკოლის ეზოშიაც შეიყვანესო" მკითხველს გინდათ აფიქრებინოთ, რომ მე ისეთი შეუგნებელი ვყოფილვარ, თვითონ ხალხმა შემოიყვანა სკოლის ეზოში „მშვენიერი წყარო" და მითხრა: „თუმცა არას გვარგიხარ, მაგრამ მაინც გამობრძანდი და უკვდავების წყაროთი გული გაიგრილეო". წყაროს ამბავიც ძალიან კარგად იცით. ნეტავი ჩვენმა ხბომ მგელი დაიჭიროსო!—ნათქვამია. თუ ხალხი იმდენად შეგნებული იქნება, რომ წყაროს გამოყვანისთანა საქმეს ჩაუგონებლივ თვით გააკეთებს, სიხარულის მეტი რა გვმართებს? ამის თაობაზე ვინ იცის, რამდენი განაჩენი დაგვიდგენია, რამდენჯერ მოგვიწადინია საქმის ასრულებაში მოყვანა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებს ხელი შეუშლიათ. ხალხს ახსოვს, თქვენ როგორ უსირცხვილოდ შეგვიშალეთ ხელი: ამ რამდენიმე წლის წინად ერთი ქართველი ინჟინერი, ვგონებ ბ. ბილანიშვილი, გაზეთში აცხადებდა: რომელ სოფელსაც წყაროს გამოყვანა უნდა, მე უფასოდ დავეხმარებიო. მაშინვე შევყარე ხალხი, გადავეცი ეს ამბავი, ვიშოვნეთ ფული, გავგზავნეთ ტფილისში ბ. ბილანიშვილთან ამორჩეული კაცი. ინჟინერი შინ არ დახვედროდა. კაცი მოსულიყო თქვენთან და ეთქვა. ესა და ეს საქმე მოვიწადინეთ და ეს წერილი დანიშნულებისამებრ გადაეციო. თქვენ, ვითომ, გახარებოდათ და გეთქვათ: ბ. ბილანიშვილს ვიცნობ, სადგურზე ცხენი დაგვახვედრეთ და უსათუოდ მოვიყვანო. თვალები დაგვაწყდა ლოდინით. ერთი თვის შემდეგ რომ მობრძანდით სოფელში, გვითხარით: არც წერილი გადამიცია და არც ინჟინერი მინახავსო. რად გინდათ წყარო, ტყუილად ხარჯი მოგივათ და იწვალებითო. ხახამშრალები დავრჩით, ბევრმა არა საკადრისი სიტყვებიც გითხრა, მაგრამ ამ წყაროს გამომყვანი მე გახლავართ. ხარჯთ-აღრიცხვის, საქმის ავან-ჩავანი მე ვიყავი. მუშაობის დროს დღე და ღამეს ვასწორებდი, იმედი საქმე იყო თქვენ ამ დროს ტფილისში თბილად განისვენებდით; მიუხედავად იმისა, რომ ხელოსანი კაცი ხართ, არაფერში დაგვეხმარეთ. ბევრმა ღარიბმა ოჯახმაც-კი ორ თუმნამდე გამოიღო ფულად და მუშაობითაც ურმით, თუ კაცით ორი-სამი თუმნის საქმე გააკეთა. გულზე ხელი დაიდეთ და ისესთქვით: ესენი ხომ ყველაფერი კარგად იცით და რად დაგჭიროათ ასე ყალბად გამოქვეყნება?

მაღალაანთ მამულის სყიდვის ჩამგონებელიც მე გახლდით ხალხი მხოლოდ იმ პირობით დაჰყაბულდა ყიდვას, თუ ფული და ანგარიშის წარმოება ჩემს ხელში იქნებოდა. ესეც აკი კარგად იცით! მთელს წერილში მხოლოდ ერთი მართალი წამოგცდენიათ: ამ მამულში არის უძველესი ისტორიული საყდარ-კოშკები, რომელიც ბევრს რამეს ამბობენ ჩვენი ქვეყნის წარსული ცხოვრებიდანო". დიაღ! „ბევრ რამეს ამბობენ", მაგრამ, სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ ის „ძვირფასი მხატვრობა", რომელიც „მხატვარ ბ. დ. შავარდნაძის საშუალებით გადაიღო ქართულ ისტორიულ სალაროსთვის საისტ. საეტნ. საზოგადოებამ" და ის საუცხოვო გულის და სულის მომხიბველი ჩუქურთმები, თქვენი სიტყვისამებრ, უმთავრესად თქვენგან არიან წაბილწულნი „მას ჟამსა შინ". ვინ იცის, რა სიამოვნების ჟრუანტელი უვლიდა თქვენს ძარღვებს, როდესაც ქვას სტყორცნიდით და უშველებელს ნატეხს მშვენიერის ჩუქურთმისას ძირს ტყაპანს გაადენდით.

თქვენ წერილი იმ დროს დასწერეთ, როდესაც მე ავად ვიყავი და საშუალება არ მქონდა, პასუხი გამეცა. გინდოდათ „კვიციც გაგეხადნათ და მამიდაც გენახათ". სოფლის მამის, გაზეთების მკითხველის სახელიც დაგემსახურებინათ და მეც ჩაგეწიხლეთ, მაგრამ ნახტომი შეგეშალათ და ჩემთვის გათხრილს ორმოში თქვენ ჩავარდით და თუ ამოსვლა მოისურვეთ, უფრო ძირ-ძირს წახვალთ. ამ 16 წლის წინადაც ვიღასაც დააწერინეთ წერილი „კვალში". პასუხი იმავე „კვალში" მოგთხოვეთ, გიწოდეთ „ცილისმწამებელი" და სხვა. მაგრამ თქვენ პასუხი ვერ გამეცით.

წინარეხის სკოლის მასწავლებელი
ვანო გიუნაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
დ. ჯორჯაძე.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

			ს. წ.
ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.03 დილ.
"	სამგზ.	№ 9,	11.43 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 19,	3.19 დღ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20 დილ.
"	სამგზ.	№ 8,	3.49 დღ.
"	საფ.	№ 4,	9,23 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.13 საღ.
თელავისაკენ		№ 4,	8.28 დილ.
ხაშურის	სამგზ.	№ 5,	9.10 დილ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10	8.37 დილ.
"	საფ.	№ 4,	8.38 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
ბაქოდან	საფ.	№ 3,	10.03 დილ.
"	სამგზ.	№ 7,	4.12 საღ.
"	ჩქარ.	№ 5,	10.40 საღ.
ხაშურიდან	სამგზ.	. .	6.34 საღ.
თელავიდან	. .	№ 3,	6.24 საღ.

ექიმი კბილისა
ნინო რჩხილ
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 (
და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14
კირპიჩნი ქუჩის შესახვევს 21.

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ.
ის ქ. № 6.

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვერონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა)
დილით:
11—12 ს. „606" და „914"
ი. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის ავადმყ.).
ბ. ე. აგაზაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ი. ა. ნავასარდიანი.

ჭარხლის თესლი

მიწათმოქმედების სამინისტროს რწმუნებული საჭმელ ჭარხლის კულტურის განსავითარებლად მიჰყიდის მეურნეებს იმ ფასად, რამდენადაც თვითონ დასჯდომია—1 მან. 50 კაპ. თესლის მიღება შეიძლება გორის მაზრაში ქარელში რწმუნებულის კანცელარიაში (ტფილისი, სასამართლოს ქ. № 31)
280

ქალების ტანისამოსის სახელოსნო
თ. მიქელაძისა
(სასახლის ქუჩა, თეატრის ეზოში).
მიიღება შეკვეთა და შესრულება საუკეთესო ხელოსნებისაგან, კოხტად და თავის დროზე.
ჩემსავე მაღაზიაში (თამამშევის ქარვასლაში, ზემო სართული, № 31—32) არის ბლომად უკანასკნელ ფასონის ქალების ზემო ტანისამოსი. ფასები ძლიერ ზომიერია. გთხოვთ პირადად დარწმუნდეთ.
275

თევზის მრეწველნი
ძმ. ძებველოვები
პუშკინის ქ., საკუთ. სახლი № 9, ტელეფ. № 712.
ყოველ დღე მოგვდის ახალი ურითის ხიზილალა, სრულებით ცოტა მარილიანი, შავი „მეშონი" ხიზ და. მივიღეთ საუკეთესო სალიანის შემაიბი. მუდმივ გვაქვს ცოცხალი, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა. ხანგრძლივ ინახება.
1035

აუქციონი
ტფილისის საქალაქო ლომბარდი
საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, 5 მარტს, დილის 10 საათზე ლომბარდის შენობაში
საჯაროდ გაიყიდება
ვადა-გასულ დაგირავებული ნივთები ძვირფასი ლითონ (თითოეული დაგირავ. ნივთი ღირს 120 მან. 2500 მან.) ქვები, საკერავ ანქანები, ხალიჩები შიგრინის ტყავი და სხვა.
63

სუსუნატით (ჭინჭარეა)
ავადმყოფებს
რომელთაც მრავალხნის განმავლობაში დიდ-ძალი ფული დაუხარჯნიათ, მაგრამ თავის ავადმყოფობისათვის ვერა უშველიათ-რა, ეხლა საშუალება აქვთ საბოლოოდ განთავისუფლდნენ მისგან, თუ შეიძენენ ცნობილ საშუალებას „ურიტალს", რომელიც სულ ცოტახანში არჩენს გაარჯლებულ და ქრონიკულ სუსუნატს საშარდე ბუშტისას, ჭაჭებისას და სხვ.
რატომ
ზოგჯერ ავადმყოფები ყურადღებას არ აქცევენ ავადმყოფობას და იგი მთელს ტანში ვრცელდება
იმიტომ რომ
ჯერ ერთი დღეს დიდი კრიზისია წამლებისა.
მეორედ იმიტომ, რომ მართლაც ძნელი ნამდვილ, რადიკალურ საშუალების გამონახვა,
მაგრამ ყველა ავადმყოფებს, ქალი იქნება თუ ვაჟი, უნდა შეიძინოს საშუალება „ურიტალი". სპეციალისტ-ექიმების დიდი ხნის გამოცდილებამ, აგრეთვე პროფესორებისამ, დაამტკიცა რომ
ურიტალი
ნამდვილად არჩენს სუსუნატს. თითო ფლაკონი ღირს 3 მან. 50 კაპ. მთელათ მოსარჩენათ ახალი ავადმყოფობისათვის სჭირდება ექვსი ფლაკონი დაძველებულ ათი ფლაკონი. სხვა ქვეყნებში გაიგზავნება 5 მანეთის (ხუთი) ბეის მიღების შემდეგ.
შეკვეთა და ცნობების მიღება შეიძლება მხოლოდ პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის ტფილისის განყოფილებაში. ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. № 16, ნაწ. 1—1. სახელმწიფო ბანკის პირდაპირ.
За заказами и справками обратиться въ Тифлиское Отдѣленіе Парижской-Фармацевтической Лабораторіи Тифлисъ, Лорис-Меликовская № 16 отд—1—1. на противъ Государственнаго Банка.

სტამბა „შრომა" ვ. ი. ციციშვილისა, ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. სემინარიის შენობა